ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოგებაშვილის ქუჩაზე სროლის შედეგად მოკლულია ერთი პირი

გვ.3



ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში უცნობმა მამაკაცმა დაწყებითი კლასის მოსწავლეების სახლში წაყვანა ცადა

გვ.5

პარასკევი, 5 მაისი, 2023 №87 (9123) ფასი: 80 თეთრი

# „ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, სანქცირებულია“



მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობასა და პერსონალურად ხაზეიშვილს დასავლეთი მხარს არ უჭერს“



გვ.4



იაგო ხვიჩია: „ქართული ოცნება“ ხალხს ვერაფერს ვერ სთავაზობს, გარდა იმისა, რომ დასავლეთს აგინებს“



გვ.2

## „ნიკა გვარამიას შეწყალება პრეზიდენტისგან სწორი ნაბიჯი იქნება“

## „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა. პრორუსულობა გამჟღავნებულია“



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „საქართველო დასავლეთის ნაწილი „ოცნებასთან“ ერთად ვერასდროს ვერ გახდება“




## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს ადგილი ევროპაშია, საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს!“

გვ.4

## რუსეთმა უკრაინა ტერორიზმში დაადანაშაულა — უკრაინელები ბრალდებას უარყოფენ

ამერიკელი ექსპერტების მოსაზრება მოსკოვის „ტერაქტზე“



გვ.6

1993230720223

**2** ვის და რა მიზნით უხდის თეა წულუკიანის სამინისტრო 891.191 ლარს

**5** თბილისში ნათესავმა ახალგაზრდა ქალი მოკლა

**2** რა ერქმევა ხატია დეკანოიძისა და რომან გოცირიძის პოლიტიკურ ჯგუფს

**6** რამდენად რეალურია მესამე მსოფლიო ომის საფრთხე?!

# „ნიკა გვარამიას შეწყალება პრეზიდენტისგან სწორი ნაბიჯი იქნება“

ნონა ცაბაძე



## იაგო ხვიჩია: „ქართული ოცნება“ ხალხს ვერაფერს ვერ სთავაზობს, გარდა იმისა, რომ დასავლეთს აგინებს“

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.

***– ბატონო იაგო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? აირაის კვლევების შემდეგ ენდიაის კვლევები გამოქვეყნდა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლების რეიტინგი საკმაოდ დაბალია, მაგრამ ოპოზიციასაც ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვს. ახლოვდება არჩევნები. საჭიროა თუ არა პარტიების გამსხვილება და როგორ უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ?***

– ენდიაის კვლევას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და, მგონი, არც უნდა მივანიჭოთ. როცა რესპონდენტთა 70% არ გეუბნება საკუთარ პრეფერენციას, ამ კვლევას არანაირი სანდოობა არ შეიძლება ჰქონდეს. შეუძლებელია, კვლევა ჩაატარო ასე – ერთს 20% აქვს, მეორეს – 5% და დანარჩენი არ მეუბნება. მაშინ, რანაირი კვლევაა ეს და როგორ შეიძლება, მას რაიმე სანდოობა ჰქონდეს, ისევე, როგორც წინა კვლევაც საკმაოდ პრობლემურია ამ თვალსაზრისით. ეს სატელეფონო კვლევაა და ისედაც პრობლემურია სანდოობის თვალსაზრისით, ვიდრე ჩვეულებრივად ჩატარებული კვლევები. მოცემულ შემთხვევაში ხომ საერთოდ არასერიოზულობამდე მივიდა ის პროცესი, როგორც ის არის ჩატარებული.

***– კვლევებს რომ თავი დავანებოთ, ისედაც ხომ ყველა ხედავს, როგორი დაბალია ოპოზიციის რეიტინგი. საჭიროა თუ არა პარტიების გამსხვილება? როგორ უნდა მოუგოთ „ოცნებას“ 5%-იანი ბარიერის პირობებში?***

– 5%-იანი ბარიერი შანსიც არის იმისთვის, რომ გაძლიერდე და მეორეც, ოპოზიციამ უნდა დაიწყოს ერთმანეთში ლაპარაკი. ამ ლაპარაკის შედეგად გაირკვევა მერე, საბოლოო ჯამში, ვინ ვისთან შეიძლება დალაგდეს, მორიგდეს და ასე შემდეგ. სანამ ლაპარაკი არ დაიწყება, შეუძლებელია გაარკვიო, რომელი ტიპის შეკავშირება თუ კოალიცია იქნება წარმატებული და პირიქით, ხმას არ დააკარგვინებს თითოეულ პარტიას. ამიტომ ჯერ საუბრითა და დისკუსიით უნდა დავიწყოთ.

***– ყველა თანხმდება, რომ 5%-იანი ბარიერი საკმაოდ მაღალია. რატომ არ აყენებენ ოპოზიციური პარტიები ბარიერის დაწევის საკითხს პარლამენტში?***

– ამ საკითხის დაყენება, „ქართული ოცნების“ პრეროგატივაა. გადაწყვეტილება „ქართულმა ოცნებამ“ უნდა მიიღოს. შესაბამისად, ოპოზიციური პარტიები დააყენებენ თუ არ დააყენებენ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, რა თქმა უნდა, გააქტიურდება ამ თვალსაზრისით პოლიტიკური პროცესი. ამ მიმართულებით აქტიურობა აუცილებლად იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, ჩვენ უნდა ვემზადოთ მის მოსაგებად.

***– რამდენად აქვს ამ გადმოსახედიდან ოპოზიციას გამარჯვების შანსი და რამდენად სახიფათო იქნება მეოთხე ვადით „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა?***

– მეოთხე ვადით ქართველი ხალხის ნებისა და ზოგადად ცივილიზაციის საწინააღმდეგო იქნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა. მე მგონი, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს.

***– 12-პუნქტიანი გეგმა აქვს „ოცნებას“ შესასრულებელი. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეასრულებს? ბოლო პერიოდში ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ მთლიანად გადაუხვია ევროინტეგრაციის გზიდან.***

– ამ გზიდან რომ გადაუხვიეს, ამას თავადვე ამბობს „ოცნება“ საჯაროდ. ამ შემთხვევაში, ოპოზიციის პასუხისმგებლობაც დიდია. მან უნდა შესთავაზოს ხალხს „ოცნების“ ალტერნატივა.

***– კომისიის შექმნას „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად თავს არიდებს. ხელისუფლება კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გავიდაო. რა უნდა გაკეთდეს, რომ ხელისუფლება დაუბრუნდეს კონსტიტუციურ ჩარჩოებს? პარლამენტში ოპოზიციის მობილიზება ამისთვის საკმარისი არ არის.***

– აუცილებელია, ეს ხელისუფლება შეიცვალოს, ხოლო ხელისუფლება რომ შეიცვალოს, ამისთვის საჭიროა, ოპოზიციამ თქვას, რა უნდა, მას როგორ წარმოუდგენია ამ ქვეყნის მომავალი და მისი განვითარება. პირველ რიგში ეს არის გასაკეთებელი. ოპოზიციამ ეს უნდა გააკეთოს და სწორედ ეს შესთავაზოს ხალხს, თორემ, „ქართული ოცნება“ ვერაფერს ვერ სთავაზობს, გარდა იმისა, რომ დასავლეთს აგინებს. ვფიქრობ, გასაგებია ყველაფერი.

***– რას იტყვით ფრიდონ ინჯიას ინიციატივაზე, აიკრძალოს ლგბტ პროპაგანდაო? ამან სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. გამოხატვის თავისუფლებას კრძალავენ? ხელისუფლებამ ჩააწვეთა ინჯიას ეს ყოველივე?***

– რა გითხრათ. წესით, ინჯიას თვითონაც შეეძლო ამის მოფიქრება.

***– რამდენად დამაზიანებელია ეს ყველაფერი, თუნდაც კანდიდატის სტატუსის მიღების წინ?***

– ბატონი ფრიდონ ინჯია რას იტყვის და რა კანონს შემოიტანს 12-პუნქტთან დაკავშირებით, ამას 12 პუნქტთან და სტატუსთან არანაირი კავშირი არა აქვს. მთავარია, ამაში აჰყვება თუ არა ხელისუფლება, ხოლო ხელისუფლებას, ვფიქრობ, გაუჭირდება ამ პროპაგანდის აყოლა, მით უმეტეს – ხელის მოწერა „ალტ ინფოს“ კანონპროექტზე. ეს მეტისმეტი იქნებოდა. ამიტომ მე ეს აჟიოტაჟი ცოტათი გაზვიადებული მგონია.

***– რა ხდება თავდაცვის კოდექსთან დაკავშირებით?***

– თავდაცვის კოდექსის განხილვა კიდევ ერთხელ გადაიდო. ხდება ის, რომ ძალმომრეობაზე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ჯერჯერობით უარი არ უთქვამთ, მაგრამ პროცესი გადაიდო კიდევ ორი კვირით. ვნახოთ, სადამდე მივა ეს პროცესი, გამოუვა თუ არა თავდაცვის სამინისტროს ამ ახალგაზრდების შლაგბაუმთან იძულებით დაყენება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ გამოუვიდეთ და, ამავდროულად, ვითხოვთ ადამიანების მხარდაჭერას, რომ ამ ბრძოლაში მარტო არ დაგვტოვონ. ეს ხომ უშუალოდ ჩვენი ბრძოლა არ არის. არცერთი ჩვენგანი ჯარში არავის მივყავართ. ეს ეხება 19-დან 27 წლამდე ბიჭებს და ჩვენ ამ ბიჭების, მათი ოჯახის წევრების დიდი იმედი გვაქვს, გვაქვს იმის იმედი, რომ სწორედ ისინი დაგვეხმარებიან ამ ბრძოლაში, რათა ეს ყველაფერი „ქართული ოცნებისა“ და მონათმფლობელობის გამარჯვებით არ დამთავრდეს.

***– ბოლო დღეებში დასავლეთი ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ მოუწოდებს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით და ოპოზიციაც თუ აპირებს, მოუწოდოს პრეზიდენტს შეწყალებისკენ?***

– ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ის მუხლი, რომლითაც ნიკა გვარამია ზის ციხეში, საერთოდ არ უნდა იყოს სისხლის სამართლის სფერო. არ შეიძლება, ადამიანი იმ ბრალდებით გაასამართლო, რომლითაც ნიკა გვარამიაა გასამართლებული, თითქოს მან საკუთარ კომპანიას მიაყენა ზიანი, იმიტომ, რომ კომპანიის ავტომანქანით დადიოდა. ეს სრული აბსურდია და ამ მუხლით ადამიანის გასამართლება დაუშვებელია.

***– როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს პრეზიდენტი?***

– ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი. მე მივიჩნევ, რომ ნიკა გვარამიას შეწყალება სწორი ნაბიჯი იქნებოდა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ დამტკიცების შემთხვევაშიც კი ის „დანაშაული“, რომელსაც მას აბრალებენ, არაფერ შუაში არ არის საპატიმრო სასჯელთან.

# ნიკა მელია: „ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, შეწყდეს შიდაპარტიულ საკითხებზე, მათ შორის, პარტიულ არჩევნებზე საუბარი“



– ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, შეწყდეს ყოველგვარ შიდაპარტიულ საკითხზე, მათ შორის, პარტიულ არჩევნებზე საუბარი, რადგან დაუშვებლად მიგვაჩნია შესაძლო შიდა დაპირისპირებებისა და თავდასხმების ახალი კერების გაჩენა, – ამის შესახებ ნიკა მელია „ფეისბუქზე“ წერს.

მისი თქმით, იმ ვითარებაში, როდესაც სააკაშვილთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამდე რამდენიმე კვირა დარჩა, „აუცილებელია, პარტიაში არ იქნეს დაშვებული არანაირი პოლიტიკური პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს დაპირისპირების, დეზინტეგრაციისა და გაუცხოების გაღრმავებას“.

– დღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინაშე დგას უმძიმესი პოლიტიკური გამოწვევა, რაც ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობასა და უპირველესად მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უკავშირდება – ასევე, მისი გათავისუფლების საკითხს უკანონო პოლიტიკური ტყვეობიდან.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სულ რამდენიმე კვირა რჩება და ახლა ეს არის საკითხი, სადაც ერთიანობისა და მონოლითურობის დემონსტრირება არის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა.

ამ ვითარებაში აუცილებელია, რომ პარტიაში არ იქნას დაშვებული არანაირი პოლიტიკური პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს დაპირისპირების, დეზინტეგრაციის და გაუცხოების გაღრმავებას.

დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, შეწყდეს ყოველგვარ შიდაპარტიულ საკითხზე, მათ შორის პარტიულ არჩევნებზე საუბარი, რადგან დაუშვებლად მიგვაჩნია შესაძლო შიდა დაპირისპირებებისა და თავდასხმების ახალი კერების გაჩენა, როგორც მინიმუმ:

1. მიხეილ სააკაშვილის შესახებ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამდე;

2. იმ სამოქმედო გეგმის დასახვამდე და განხორციელებამდე, რაც შეიძლება თან ახლდეს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას (მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება იგი) პარტიის მხრიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვასკვნით: ამ უმთავრესი საკითხის მიღმა, მით უმეტეს ასეთ კრიტიკულ დროსა და ვითარებაში, ყველა შიდაპარტიული საკითხი და განსაკუთრებით მწვავე საარჩევნო კამპანიები არის სავსებით არაპირველხარისხოვანი და უფრო მეტიც, შესაძლოა იყოს გამოუსწორებელი ზიანის მომტანი ჩვენი პოლიტიკური ძალისთვის, – აცხადებს ნიკა მელია.

# რა ერქმევა ხატია დეკანოიძისა და რომან გოცირიძის პოლიტიკურ ჯგუფს



რომან გოცირიძის ცნობით, პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც პარლამენტში ხატია დეკანოიძესთან ერთად შექმნა, ევროოპტიმისტები ერქმევა.

ამის შესახებ გოცირიძემ სოციალურ ქსელში დაწერა.

– ბევრჯერ იყო აქ ნახსენები ევროპა, როგორც დროის სულისკვეთება. დავეყრდენით რა ამ ამოსავალ სიტყვას, შევთანხმდით, რომ პოლიტიკურ ჯგუფს დავარქვათ სახელი ევროოპტიმისტები, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ხატია დეკანოიძე და რომან გოცირიძე პარლამენტში პოლიტიკურ ჯგუფს ქმნიან. ამის შესახებ მათ საკანონმდებლო ორგანოში გამართულ ბრიფინგზე გუშინ განაცხადეს.

დეკანოიძის თქმით, პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე იქნება.

ხატია დეკანოიძე და რომან გოცირიძე პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატები არიან. დეკანოიძემ ნაციონალური მოძრაობა – 24 მარტს, ხოლო გოცირიძემ 17 თებერვალს დატოვა.

# ვის და რა მიზნით უხდის თეა წულუკიანის სამინისტრო 891.191 ლარს



წულუკიანის უწყება 26 მაისის კონცერტის მომზადებას ბაკურ ბაკურაძის კომპანიას უკვეთს – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გასამართი ღონისძიებებისთვის 891.191 ლარის ოდენობის გამარტივებული შესყიდვა გამოაცხადა.

სამინისტრო (გამარტივებული შესყიდვით) სამ მომსახურებას ყიდულობს:

„ქ. თბილისში, გალაკონცერტის უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები;

ქ. თბილისის კონცერტის სატელევიზიო ეთერით უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები;

ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე სპორტული სივრცის მოსაწყობად საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები“.

ოფიციალური დოკუმენტებით, სამინისტრო შპს არტ ლაბორატორიას 499.456 ლარს უხდის, რომლის დირექტორიც ბაკურ ბაკურაძეა.

# დაკავებულია ოდესის მერი



ოდესის მერი გენადი ტრუხანოვი დააკავეს. ოდესის სამართლის სპეციალიზებულ ანტიკორუფციულ პროკურატურაში აცხადებენ, რომ 4 მაისს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა ქალაქის მერის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ.

ტრუხანოვი ერთ-ერთი ბრალდებულია ოდესის ქარხანა „კრაიანის“ საქმეზე.

უკრაინის ნაციონალური ანტიკორუფციული ბიურო მიიჩნევს, რომ ტრუხანოვი კორუფციული სქემის ორგანიზატორია, რომლითაც 90 მილიონ გრივნაზე მეტი გაიფლანგა.

პროკურატურა აცხადებს, რომ ბრალდებულმა არ გადაიხადა სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაო – 30,866 მილიონი გრივნა, ამიტომ პროკურორმა მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლა მოითხოვა.

სასამართლომ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად 60-დღიანი პატიმრობა შეუფარდა 13,42 მილიონი უკრაინული გრივნის გადახდამდე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებული სასამართლო დარბაზში დააკავეს.

ტრუხანოვს გირაოს გადასახდელად ხუთი დღე აქვს. ამის შემდეგ კი მას მოუწევს ელექტრონული სამაჯურის ტარება და საზღვარგარეთის პასპორტის ჩაბარება.

საქმის არსებითი განხილვა ოდესის მალინივის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 14 ნოემბერს დაიწყო.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხიხო გოგინაშვილი
რედაქტორი – [illegible]
[illegible] – [illegible]
[illegible] – [illegible]
[illegible] – 599-532-690
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და ნარკვევების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა. პრორუსულობა გამჟღავნებულია“

## გედევან ფოფხაძე: „საქართველო დასავლეთის ნაწილი „ოცნებასთან“ ერთად ვერასდროს ვერ გახდება“



ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, ოპოზიცია არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სარჩელის მომზადებას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საკითხზე. მოიგებენ ამ სარჩელს?***

– არა მხოლოდ კონსტიტუცია ირღვევა, ირღვევა პარლამენტის რეგლამენტი. ფაქტობრივად, ბიურომ კანონი შეცვალა. არადა, ყველამ ვიცით, რა პროცედურებით იცვლება კანონი. კანონის შესაცვლელად პარლამენტის სამი მოსმენაა საჭირო და ა.შ. ეს ყველაფერი უგულებელყვეს თავისუფალი ინტერპრეტაციით. კანონებს, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ.

ამ ვითარებაში ოპოზიცია იქცევა ისე, როგორც სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა იქცეოდეს. რეალურად კი ხელისუფლება ამბობს სამართლებრივ სახელმწიფოზე უარს. რა თქმა უნდა, არავითარი დროებითი საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება, თუ ეს ხელისუფლებას არ უნდა. ისინი არც კონსტიტუციას უყურებენ და არც არანაირ კანონს. საკონსტიტუციო სასამართლოც არ დააკმაყოფილებს საკონსტიტუციო სარჩელს.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ მიდიან ამ გზით?***

– ძალიან მარტივია ამის ახსნა. მოტივაცია არის მოცემულობა, რომელიც არსებობს 24 თებერვლის შემდეგ. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ნელ-ნელა ლუსტრაცია დაიწყო, საკუთარი თავის ლუსტრაცია. გამჟღავნებულია პრორუსულობა. სწორედ ამის ადეკვატურ ქცევასთან გვაქვს საქმე. დემოკრატიულობა, დემოკრატიული ინსტიტუტები, ოპოზიციის უფლებები და ა.შ. რუსულ და ბელარუსულ მართვის მოდელთან შეუსაბამოა.

დემოკრატიული ინსტიტუტებით მართვა, ოპოზიციის მიერ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, ვილაცის დაბარება და დაკითხვა, კომისიის მიერ დასკვნის დადება, სახელისუფლებო შტოებს შორის კონტროლი – ეს უკვე ძალიან დიდი კონტრასტია და არ ჯდება მართვის ამ სტილში.

რუსული კანონპროექტის შემოტანა და მერე მიღება, პოლიტიკური მართლმსაჯულება – ეს არის ის, რაც ნამდვილად თანხვედრაშია.

***– ორბანთან გაკეთებული გზავნილებიც ოპოზიციის მხრიდან დიდი კრიტიკის საგანი გახდა.***

– ესეც ამ სტილის ნაწილია. პრემიერი ფინეთში კი არ ჩავიდა, რომ გარკვეული გზავნილი ყოფილიყო, ჩვენც გვინდა ნატოს წევრობა და ჩვენც მზადყოფნას ვაცხადებთ წევრობისთვის – არა, ევროპაში ერთადერთი ორბანია, რომელიც ღიად თანაუგრძნობს რუსეთს და მასთან გვაქვს თანხვედრა. ეს დამღუპველია ჩვენი ქვეყნის პერსპექტივისთვის, ევროპული მომავლისთვის, მაშინ როდესაც ეს კარი უნდა შევაღოთ. ფინეთთან, პოლონეთთან, ბალტიის ქვეყნებთან, უკრაინასთან უნდა ვმეგობრობდეთ და ყოველდღიურ კომუნიკაციაში უნდა ვიყოთ, რომ ჩვენთვისაც გაიღოს ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი და არა ორბანთან. ინგლისზე, გერმანიაზე, საფრანგეთსა და მათთან ურთიერთობაზე საერთოდ აღარ ვლაპარაკობ.

ამ პოლიტიკით „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ თავს განაჩენი ნამდვილად გამოუტანა. ეს ის არის, რასაც ქართველი ხალხი ნამდვილად არ დათმობს. „ოცნება“ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ეს გამორიცხულია.

***– მიუხედავად იმ სოციოლოგიური კვლევის შედეგებისა?***

– რა შუაშია სოციოლოგიური კვლქვები?! 9 აპრილს სოციოლოგიას ხომ არ გადაუწყვეტია ამ ქვეყნის ბედი! ასეთ დროს უმთავრეს როლს ისტორია თამაშობს. ისტორიამ „ქართულ ოცნებას“ განაჩენი უკვე გამოუტანა. ეს განაჩენი 24 თებერვალს გააფორმა ღარიბაშვილმა თავისი პირველი განცხადებით, რომელიც მან უკრაინის ომთან დაკავშირებით გააკეთა.

საქართველო დასავლეთის ნაწილი ვერასდროს ვერ გახდება „ოცნებასთან“ ერთად. ამ ხელისუფლებას ეს არ უნდა. მას სულ სხვა ამოცანა აქვს, ქართველ ხალხს კი სულ სხვა ამოცანა და ნება გააჩნია. ამ ნების წინააღმდეგ წამსვლელი ხელისუფლება ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. მას ამ ქვეყანაში ხალხის ლეგიტიმაცია არ ექნება. კოლაბორაციონისტული ხელისუფლება ამ ხალხს თავის ისტორიულ მიზნამდე ვერ მიიყვანს. ამიტომ ისტორიამ „ქართულ ოცნებას“ განაჩენი უკვე გამოუტანა. ეს განაჩენი 2024 წლის არჩევნებზე გაფორმდება.

ენდიაის კვლევებს თუ დავუბრუნდებით, ხალხი ნამდვილად არის მოლოდინის რეჟიმში. ის ელოდება, როგორ განვითარება პოლიტიკურ ველზე მოვლენები, მერე თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას. ასეთი მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილება არაერთგზის მიუღია ამ ხალხს. ეს ხელისუფლება დამთავრებულია. ისინი ისტორიამ გაწირა.



# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიური კონფერენციის (CPAC) ჩატარების მნიშვნელობას.

ხაზი გაესვა კონფერენციაზე გაჟღერებულ გზავნილებს, რომელთა უმრავლესობა არაერთი ქვეყნისთვის საერთო ღირებულებებს წარმოადგენს.

განიხილეს საქართველო-უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები ვაჭრობის, ინვესტიციების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის სფეროებში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო უნგრეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერებისთვის არსებული პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნის ერთგული რჩება.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა. აღინიშნა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით უნგრეთის მხარდამჭერი განცხადებების მნიშვნელობა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, საქართველო კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, რომელსაც ქვეყანა წლის ბოლოსათვის ელოდება.

შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის სახელით სამუშაო სადილი გაიმართა.

# პაატა მანჯგალაძე: „თაობები შეეწირა იმას, რომ საქართველო რუსეთის ჩრდილქვეშ არ ყოფილიყო“

– თაობები შეეწირა იმას, რომ საქართველო რუსეთის ჩრდილქვეშ არ ყოფილიყო – ღარიბაშვილი გვთავაზობს რუსეთის ჩრდილს, ჭაობსა და რუსული გავლენის გაზრდას საქართველოში, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა, რითაც უნგრეთში კონსერვატორთა კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაჟღერებულ გზავნილებს გამოეხმაურა.

მისი თქმით, საქართველოს რუსეთის ჩრდილქვეშ ყოფნაზე გაკეთებული განცხადება „საზიანო“ და „მავნეა“.

– პირდაპირ ვიტყვი, ეს არის ძალიან მავნე და საზიანო განცხადება საქართველოსთვის. თაობები შეეწირა იმას, რომ საქართველო რუსეთის ჩრდილქვეშ არ ყოფილიყო, საქართველოს სჭირდება მზე და საქართველოს მზე ამობრწყინდება მაშინ, როცა რუსეთი არ დაეფარება და მის ჩრდილქვეშ არ ვიქნებით. ეს არის მთელი განსხვავება ჩვენსა და „ქართული ოცნების“ ღირებულებებს შორის. მათ უნდათ საქართველო რუსეთის ჩრდილქვეშ და მე მინდა მზის ქვეშ – ღარიბაშვილი გვთავაზობს რუსეთის ჩრდილს, ჭაობსა და რუსული გავლენის გაზრდას საქართველოში, – განაცხადა მანჯგალაძემ.

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, ღარიბაშვილის გზავნილები ფსევდო-რელიგიური და ყალბი იყო.

– ეს არის იაფფასიანი პოპულიზმი ჩემთვის. ფსევდორელიგიური და პატრიოტულია სახარების ციტატით გამოსული ღარიბაშვილი, ახლა გაახსენდა და აქამდე არავის უხსენებია, რომ „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი“. 9 ნეტარებიდან არის ეს და იქვეა „ნეტარ არიან სიმართლისთვის მებრძოლნი“. რატომ არ ილაპარაკა სიმართლისთვის მებრძოლებზე? ესაა ფარისევლობა. ფრიდონ ინჯიას დასაცავი 2000– წლოვანი კულტურის ქვეყანას არაფერი აქვს და არანაირი გენდერის პრობლემა არ დგას საქართველოში, არანაირი სექსუალურ




უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები არ არის. ეს არის შემოტანილი რიტორიკა იმისთვის, რომ თითქოს ესენი არიან ტრადიციების დამცველები და სხვა ვინც ამბობს, რომ ადამიანის უფლებები უნდა დაიცვა და არ უნდა ჩაქოლო ქუჩაში, არის პროპაგანდის მომხრე, – განაცხადა მანჯგალაძემ.

# ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილის ჯანმრთელობა არ არის ვიწროპარტიული საკითხი და დაკავშირებულია საქართველოს ევროპულ მომავალთან“

– მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა არ არის ვიწროპარტიული საკითხი და დაკავშირებულია საქართველოს ევროპულ მომავალთან, – განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა.

ხაბეიშვილის განცხადებით, პრეზიდენტის მკვლელებს ევროკავშირში არ ელოდებიან.

– ჩვენი გეგმა იყო პარტიის გაძლიერება და ვაძლიერებთ, IRI-ის უკანასკნელი კვლევაც ამაზე მეტყველებს, პარტიას ორპროცენტიანი ზრდა აქვს. ჩვენი პოლიტიკა არის აბსოლუტურად სწორი, რომელიც არის ღია, გამჭვირვალე და დაფუძნებულია პოლიტიკურ აქტიურობა-



ზე, მათ შორის ყოველდღიურზე და, შესაბამისად, 20 მაისამდე არჩევნები დამთავრდება და პარტია რეგიონულ დონეზეც, საქალაქო დონეზეც იქნება ძლიერად წარმოდგენილი.

უმძიმესი რეალობა გვაქვს ამ მიმართულებით და ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ჯანმრთელობა არ არის ვიწროპარტიული საკითხი და დაკავშირებულია, მათ შორის საქართველოს ევროპულ მომავალთან. პრეზიდენტის მკვლელებს ევროკავშირში არ ელოდებიან, ეს კარგად უნდა გაიაზროს ყველამ და კარგია, რომ 61% საქართველოს მოქალაქეების ღიად მხარს უჭერს პრეზიდენტ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენას და მის გადაყვანას იქ, სადაც მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე იქნება უზრუნველყოფილი, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

# აშშ უკრაინისადმი დახმარებას განაგრძობს

აშშ-მ უკრაინისადმი დახმარების ახალი პაკეტი დააანონსა. მასში შევიდა:

1. დამატებითი საბრძოლო მასალები ჰამარსებისათვის;
2. 155 მმ-იანი ჰაუბიცები;
3. 12 მმ-იანი ჰაუბიცები;
4. TOW-იის სისტემის ჰაუბიცები;
5. ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება;
6. საავიაციო რაკეტები.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ დაეხმარება უკრაინას მანამ, სანამ ეს აუცილებელი იქნება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# გოგებაშვილის ქუჩაზე სროლის შედეგად მოკლულია ერთი პირი

თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, სროლის შედეგად მოკლულია ერთი პირი. არსებული ინფორმაციით, დაჭრილია კიდევ ერთი პირი.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი აცხადებს, სროლა ორმხრივი იყო და მათ რვამდე გასროლა გაიგეს.

– ერთი დაჭრილი სასწრაფომ წაიყვანა. გავიგე სროლის ხმა და გამოვედი. ექვსი, რვა გასროლა იქნებოდა. ორმხრივი სროლა იყო. იარაღის სხვადასხვა ხმა იყო, – აცხადებს ადგილობრივი „რუსთავი 2“-თან.

მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. „ინტერპრესნიუსი“ დამატებით ინფორმაციას მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

# ოზურგეთში ქალის ცხედარი იპოვეს

ოზურგეთში 80 წელს გადაცილებული ქალის ცხედარი გუშინ დილით იპოვეს.

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ქალი ხიდიდან გადავარდა. სავარაუდოდ, ქალს ფეხი დაუცდა და მდინარე ნატანებში გადავარდა, თუმცა არ გამორიცხება სუიციდის ვერსიაც. შემთხვევამდე ქალს 2 დღის განმავლობაში ეძებდნენ.

# „ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, სანქცირებულია“

## მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობასა და პერსონალურად ხაბეიშვილს დასავლეთი მხარს არ უჭერს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.



*– აღმოჩნდა, რომ საქართველოს უარი, მონაწილეობა მიიღოს ნატოს წლევანდელ წვრთნებში, არ ყოფილა ანტიდასავლურობის გამოვლინება. აშშ-ის საელჩოს განცხადებით, ის, რომ საქართველო სხვა წვრთნებში ჩაერთვება, შეთანხმებულია. ამასთან, ზოგადად, არ იკლებს მმართველი პარტიის ლიდერების ანტიდასავლური რიტორიკა. „ოცნების“ წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, სანქცირებულია. თქვენ რას იტყვით?*

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, სანქცირებულია. სინგაპურსა და სხვა ლოკაციებში მას დაყადაღებული აქვს მილიარდ 900 მილიონი. რასაკვირველია, ოფიციალური დოკუმენტი მის წინაალმდეგ სანქციების შემოღებაზე არ არსებობს. იურიდიულად არ არის სანქცირებული. პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ოლიგარქებისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში. დასავლეთს არ უნდა, რომ ქართველები მოექცნენ სანქციებში. ამიტომ შემოიტანეს ასეთი ფორმა ივანიშვილისათვის.

*– დე ფაქტო ივანიშვილიც სანქცირებულია, ასევე შეზღუდვები დაწესდა ოთხი ქართველი მოსამართლის მიმართ.*

– მოსამართლეებს აშშ-ში შესვლა აუკრძალეს. მათ არ უშვებენ ქვეყანაში, თორემ ფინანსური სანქციები არც მათ მიმართ დაუწესებიათ. საქართველოც ბევრ ადამიანს არ უშვებს ქვეყანაში. ამასწინათ ლავროვი რომ ჩავიდა აშშ-ში, მას ჟურნალისტებიც ახლდნენ. ჟურნალისტები ქვეყანაში არ შეუშვეს.

*– ანტიდასავლურობის თემაზე გადავიდეთ. 30 აპრილის აშკარად ანტიდასავლური აქცია ხელისუფლების ხელშეწყობით გაიმართა.*

– დიახ, მაგრამ ხელისუფლება თავს ისე აჩვენებს ყველას, თითქოს არაფერ შუაშია და მიტინგის ორგანიზებაში არ მონაწილეობდა. რეალურად, გიორგი გაჩეჩილაძესა („უცნობს“) და ზაზა პაპუაშვილს ამ მიტინგის ორგანიზების რესურსები არ გააჩნიათ. ცნობილია, რომ მიტინგისთვის ხალხი სამარშრუტო ტაქსებითა და სხვა ტრანსპორტით ჩამოიყვანეს. ძალიან ბევრი ჩამოსული იყო.

### „რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში განულებულია“

*– რა შეიძლება იყოს ამ მიტინგის მთავარი ამოცანა? რის თქმა უნდა ხელისუფლებას?*

– შენიღბულად ეს იყო ხელისუფლების აქცია. მთავარი გზავნილი დასავლეთის მიმართ იყო მოწოდება, მოხდეს საქართველოსადმი დამოკიდებულების კორექტირება. არ ვიცი, კულუარებიდან შეატყობინეს თუ არა რამე დასავლეთს (პირველ რიგში, აშშ-ს). ღიად დასავლეთს შეუთვალეს, რომ საქართველოს საზოგადოება ხელისუფლებისგან მეტ ანტიდასავლურობას მოითხოვს. ხელისუფლების გზავნილი დაახლოებით ასეთია, ჩვენგან მეტ ანტიდასავლურობას მოითხოვენ, ჩვენ კი ზომიერები ვართო. ეს მიტინგი იყო დასავლეთის მიმართ უკმაყოფილების დემონსტრირება.

*– მიტინგის მონაწილეთა ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. საქართველოს ეკონომიკა დიდწილად რუსეთზეა მიბმული. ისინი ამაზე არ ჩივიან. გაუგებარია, რას მოითხოვენ.*

– ალბათ, მოითხოვენ იმას, რომ საქართველო არ ჩაერთოს სანქციებში რუსეთის წინაალმდეგ. სხვა რა უნდა იყოს? საქართველოს ეკონომიკაში არავინ ერევა, არავინ უშლის ხელს ხელისუფლებას სუვერენული ეკონომიკური უფლების განხორციელებაში. მოითხოვენ, რომ საქართველო არ აჰყვეს რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს.

*– პრორუსული ჯგუფები ისევ ნერგავენ ნარატივს დასავლეთის კავშირზე ნაცმოსთან. ბოლოს განაცხადეს, რომ დასავლეთმა ფსონი ხაბეიშვილის ნაციონალურ მოძრაობაზე დადო.*

– ეს არის მორიგი ფეიკი და კიდევ ერთი აბდაუბდა. ბევრჯერ ვთქვი, რომ დასავლეთი ცრუ მედასავლეთეებს არ ენდობა. დასავლეთი მხარს არ უჭერს ნაცმოძრაობას და არც პერსონალურად ხაბეიშვილს. თანაც, ახლა რა დროს ფსონის დადებაა? დასავლეთის ფსონს არჩევნების წინ, ასე, მომავალი წლის ზაფხულში ვნახავთ. იმის თქმა, რომ დასავლეთი ფსონს უკვე დებს, თანაც, ნაცმოძრაობაზე, დიდი სისულელეა.

*– ჩრდილოეთ კავკასიაზე მინდა გკითხოთ. ზოგადად რუსეთის შესაძლო დაშლაზე მსოფლიოში საუბრობენ. ახმედ ზაკაევმა (მას უწოდებენ იჩქერიის მთავრობის თავმჯდომარეს დევნილობაში) განაცხადა, რომ 11 მაისს გაიმართება მთიელების რესპუბლიკის შექმნის 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მოსალოდნელია, რომ იქ დადგეს ამ რესპუბლიკის (კონფედერაციის) დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი. ამან უნდა მოამზადოს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა. ეს რეალურია?*

– რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში განულებულია და ეს მახარებს. რეგიონში გაწვევა ჩავარდა და ამის გამო უკრაინაში უკრაინის წინააღმდეგ მხოლოდ კადიროველები იბრძოდნენ. ისინიც დაბრუნდნენ. ალპინისტებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ ალპინისტური ბანაკები გავსებულია ადგილობრივი ახალგაზრდობით. ყველა ერი არაოფიციალურად ქმნის საკუთარ შეიარაღებულ ჯარს. რუსეთის კიდევ ერთი წარუმატებლობა უკრაინაში და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. გაზრდილია პროქართული განწყობები. განსაკუთრებით, ეს აშკარაა ინგუშებში, ყარაჩაელებში, ბალყარელებსა და სხვებში. ეს ყველაფერი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა იყოს, მაგრამ იქ მიმდინარე პროცესების უგულებელყოფაც არ შეიძლება.

*– 1917 წელს შექმნილი და 1918 წელს ოფიციალურად გამოცხადებული (რაზეც ზაკაევი საუბრობს) კონფედერაციის აღდგენა შესაძლებელია?*

– ეს პროექტი არ შედის ჩვენს ინტერესში. მთიელთა რესპუბლიკა შეიქმნა თურქეთის გენერალური შტაბის მონაწილეობით. თურქეთი მაშინ საქართველოშიც შემოდიოდა, მაგრამ გერმანელებმა აუკრძალეს. შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთი გაბატონდა და შექმნა დუალისტური ავტონომიები (ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი), რათა ყველა ერთმანეთს გადამტერებოდა. ჩეჩნეთის დომინანტობას ყველა არ ეთანხმება. საერთოდ, ყველა პროექტი ამ რეგიონში, სადაც საქართველო არ მონაწილეობს, ანტიქართულია.

ჩვენთან საერთოდ თვალს ხუჭავენ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. არადა, ასე არ შეიძლება. უნდა იყოს ამ თემების განხილვა, დისკუსიები. რაც სახიფათოა საქართველოსთვის, უნდა ითქვას. რაც მისასალმებელია, ისიც უნდა ვაღიაროთ. ახლა ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ანტირუსული სამზადისია. შესაძლებელია სამხედრო აჯანყება. არ არის გამორიცხული, ეს წელს მოხდეს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს ადგილი ევროპაშია, საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს!“

## „ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია“

– მომავალ წელს 50 წელი სრულდება პირველი კონსერვატიული კონფერენციიდან, რომელზეც პირველი მისასალმებელი სიტყვა ლეგენდარულმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა წარმოთქვა. უკვე ნახევარი საუკუნეა, ამერიკული კონსერვატიული კავშირის მიერ ინიცირებული მოძრაობა იბრძვის მსოფლიოში ტრადიციული, უზენაესი ფასეულობების განმტკიცებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ძვირფას მეგობარს, პრემიერ ორბანს; უნგრელ ხალხს ძალიან გაუმართლა, რომ ამ რთულ ეპოქაში ასეთი ბრძენი და შორსმჭვრეტელი ეროვნული ლიდერი ჰყავს, რომელიც იცავს საკუთარი მამაცი ერისა და უნგრეთის ინტერესებს, ფუნდამენტური ღირებულებების სადარაჯოზე დგას და ნამდვილად სამაგალითო პოლიტიკოსი, მებრძოლი ქრისტიანი კაცია. – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე (CPAC), ბუდაპეშტში განაცხადა.

პრემიერი რუსეთ-უკრაინის ომსაც შეეხო და განაცხადა:

– რუსეთის შეჭრამ უკრაინაში სათავე დაუდო ხანგრძლივ ომს, რომლის დასასრულიც არ ჩანს, რომელიც ყველას გვეხება. გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლის, სასტიკი ნგრევის შეჩერება უდიდეს საერთო ძალისხმევას მოითხოვს. დღესაც, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველა ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის მიზანი და ამოცანა – მშვიდობის უზრუნველყოფაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ვგულშემატკივრობთ რა უკრაინას, უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების, ხანგრძლივი და სტაბილური მშვიდობის პირობების შესაქმნელად.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავიტანეთ მძიმე ომი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში; ჩვენმა ქვეყანამ ამ ომში დიდი ადამიანური მსხვერპლი გაიღო; ჩვენი ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ;

ქართველებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია, თუმცა, როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად.

ასე რომ, ვიცით რა, რა მოაქვს ომს, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მშვიდობისთვის. იესო ქრისტე ამბობს სახარებაში: ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან. ამ ურთულეს დროში, მიუხედავად არაერთი პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მცდელობისა, ჩვენ შევძელით მშვიდობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ისტორიაში, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას პირველად გვაქვს ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში.

უდავო ფაქტია, რომ დღეს გლობალური წესრიგი იცვლება. მსოფლიო ველარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. ამ რთული ვითარებიდან ვერავინ შეძლებს, მარტომ იპოვოს გამოსავალი. საჭიროა ერთიანობა, გლობალური თანამშრომლობა ახალი, უფრო სამართლიანი წესრიგისათვის. მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას.




მაგრამ რა გვაძლევს ძალას ამ ერთიანობისთვის? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ის ტრადიციული, უზენაესი, მარადიული, უნივერსალური ფასეულობები, რომელიც განსაზღვრავს მთელ ჩვენს ისტორიას და კულტურას, ჩვენს ყოველდღიურობას. ეს ფასეულობები მარტივად გამოითქმის – ეს არის რწმენა, თავისუფლება, მშვიდობა, ღირსება, სიმართლე, თანასწორობა, ოჯახის სიწმინდე, მშობლების, წინაპრების, ტრადიციების პატივისცემა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული, უკეთესი მომავლის იმედი. ყველაფერი, რაც შეიძლება შევაჯამოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის, ბრძენი და ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული ადამიანის მიერ შემოთავაზებულ პოსტულატებში – ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.

ღარიბაშვილის განცხადებით, ტრადიციების ერთგულება არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ განახლებაზე.

– როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავსმოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის – მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს. ასეთი ადამიანის მართვა – ვინც დაივიწყა საკუთარი ისტორია, რწმენა – უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია.

ამიტომაც ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ვინმესადმი დაპირისპირებას. ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს – არავის ინტერესები არ უნდა შეიზღუდოს – სხვათა ინტერესების გამო. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი თითოეული მოქალაქის უფლებებს და ამას საქმით ვამტკიცებთ. – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის განცხადებით, დაცული უნდა იყოს როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის უფლებები.

– ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი – ქალსა და მამაკაცს შორის ერთობაა, დედა – ქალია, მამა კი – კაცი. იმ ადამიანების, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უფლებებს, ვინც მხარი დაუჭირა ჩემს 2014 წლის ინიციატივას, რომლის შედეგადაც ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ მოგვიანებით კონსტიტუციაში შეიტანა ქორწინების, როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის დეფინიცია.

ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა ტრადიციულ, კონსერვატიულ, ოჯახურ ღირებულებებს იზიარებს. ეს ფასეულობები მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობა არ არის, იგი ცოცხალი დღევანდელობაა, გარემო, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და გვსურს, ჩვენი შვილები აღვზარდოთ. მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ; ისე, როგორც ჩვენ აღგვზარდეს ჩვენმა მშობლებმა.

ამიტომ ჩვენ დავიცავთ ყველას უფლებებს, მაგრამ, როგორც არ დავუშვებთ უმცირესობის წარმომადგენლებზე ძალადობას, ისევე არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე. მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია, რომელსაც ქართველის იდენტობა, თვითმყოფადობა, მთელი ჩვენი ისტორია ეფუძნება, – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის თქმით, საქართველო უპირობოდ იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს.

– დღეს ჩვენ ევროპისაგან ველით შორსმჭვრეტელ და სამართლიან გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ეს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანი ძალისხმევის დამსახურებული აღიარება იქნება,

კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, საქართველოს ადგილი ევროპაშია, საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს!

ჩვენს რთულ დროში ყველა უნდა გავერთიანდეთ. მოდით, ვაქციოთ ჩვენი ქვეყნები მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის ადგილად.

ბატონმა ორბანმა თავის დალასის გამოსვლაში იხუმრა, რომ უნგრეთი ნამდვილად არ არის სუპერძალა. საქართველოს, კიდევ უფრო პატარა ქვეყანას, მით უმეტეს, არასდროს ჰქონია ასეთი ამბიცია. მაგრამ მაინც, ჩვენ ვფლობთ სუპერძალას – ეს ძალა არის რწმენა, ჩვენი ოჯახები, ტრადიციები, მარადიული და უნივერსალური ფასეულობები. სწორედ ერთიანობით ჩვენ შევძლებთ დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლებისა და ყალბი სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას და ნამდვილი, ტრადიციული, უზენაესი, ოჯახური ღირებულებებით დავიცვათ და შევინარჩუნოთ სამყარო ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისში ნათესავმა ახალგაზრდა ქალი მოკლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 29 აპრილს ბრალდებულმა თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნათესავზე – 1986 წელს დაბადებულ მ.ბ.-ზე ფიზიკურად იძალადა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული თ.ბ. ცხელ კვალზე დააკავა. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა პირს, რომელმაც ნათესავ ქალს ხელკეტისა და ელექტროშოკის გამოყენებით დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

საქართველოს პროკურატურამ თბილისში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 29 აპრილს თბილისში, ჰუალინგის დასახლებაში, ბრალდებულმა ნათესავ ქალს განსაკუთრებული სისასტიკით, ელექტროშოკით სხეულზე მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. როგორც პროკურატურაში აღნიშნავენ, მიყენებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

– სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასების მიზნით, დაინიშნება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში უცნობმა მამაკაცმა დაწყებითი კლასის მოსწავლეების სახლში წაყვანა ცადა



ახალციხის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეს უცნობმა კაცმა საკუთარ სახლში წაყვანის მიზნით კანფეტები შესთავაზა. ფაქტის გამო სკოლაში პოლიცია გამოიძახეს. „სამხრეთის კარიბჭის" ინფორმაციით, შემთხვევა 2 მაისს, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოხდა.

როგორც კლასის დამრიგებელი „სამხრეთის კარიბჭეს" უყვება, ქუჩაში მდგარ გოგონებს უცხო მამაკაცი მანქანიდან გამოელაპარაკა:

– დილით ერთ-ერთმა მოსწავლემ მითხრა: მასწავლებელო, გუშინ უცხო კაცი შემხვდა და მითხრა, წამომყევი, შოკოლადებს გიყიდი, მე კი ყველაფერზე უარი ვუთხარიო. ამასობაში კლასში კიდევ სამი გოგონა მოვიდა, ეტყობა, ჩემს მისვლას ელოდნენ, ოთხივე შემოეხვია, მათაც იგივე დაადასტურეს. კაცს უთქვამს – ლამაზო კულულებიანო, გამომყევი, მარტო ვცხოვრობ გორში, წაგიყვან და ბევრ კანფეტს გიყიდი, თუ არ წამომყვები, ძალიან ინანებო. ბავშვი გაიქცა და ერთ-ერთი კლასელის მშობელს უთხრა, მაგრამ ეს დეტალები არ მოუყოლია, უბრალოდ, უთხრა, რომ ვიღაც კაცი დაელაპარაკა, – აცხადებს დამრიგებელი.

მისივე თქმით, მოსწავლეები ერთ-ერთ მშობელს ჰყავდა ჩაბარებული, რომელიც ბავშვებთან ახლოს მანქანაში იმყოფებოდა.

– როგორც მშობელმა თქვა, იმდენად ხალხმრავალი ადგილი იყო, რომ მომხდარი არ ჩაუთვლია საგანგაშოდ და არც სახეში შეუხედავს, მხოლოდ ის მიაძახა – ამხელა კაცი რას ელაპარაკები ბავშვებსო, კაცმა ასეთი პასუხი გასცა – რა მოხდა მერე, ქალბატონოო. ბავშვები საერთოდ არ იყვნენ შეშინებულები, ამიტომ მათ ნაწილს თავიდან მშობლებთანაც არ უთქვამს ეს ამბავი, – ამბობს დამრიგებელი.

რაც შეეხება პოლიციის გამოძახებას, როგორც მასწავლებელი ამბობს, გადაწყვეტილება მანდატურმა მიიღო.

– მშობლებს გუშინვე რომ დაერეკათ, კარგი იქნებოდა. დღეს რადგან ეს ინფორმაცია სკოლაში შემოვიდა, მანდატურმა დარეკა და ჩვენ, სკოლაც რა თქმა უნდა მზად ვიყავით ყველაფერი გვეთქვა, ამის დაფარვა არც არავის უცდია.

იმავეს ამბობენ „სამხრეთის კარიბჭესთან" ამავე სკოლის მოსწავლეების მშობლებიც: „კაცს უთქვამს, სახლში კანფეტები მაქვს და გამომყევი, თორემ ინანებო".

გამოცემის ინფორმაციით, სამართალდამცავებმა მშობლები უკვე გამოჰკითხეს.

იდენტიფიცირებულია თუ არა მამაკაცი და რომელი მუხლით დაიწყო გამოძიება, ამ ეტაპზე უცნობია.

# ზურაბ ჩხაიძე: „მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება"

კლინიკა „ვივამედის" კლინიკური დირექტორის ზურაბ ჩხაიძის განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ზოგადი სისუსტე, თავბრუსხვევა, პერიოდულად წონასწორობის დაკარგვა აღენიშნება და არ არის გასაკვირი, რომ ეს სამომავლოდაც გაგრძელდეს.

როგორც მან კლინიკა „ვივამედთან" ჟურნალისტებს განუცხადა, პაციენტი შეთავაზებულ სამკურნალო დანიშნულებებზე უარს აცხადებს და საკმარისი რაოდენობის კალორაჟს არ იღებს.

– რაც შეეხება პაციენტს, რა თქმა უნდა, ზოგადი სისუსტე აქვს, თავბრუსხვევის შეგრძნება, პერიოდულად წონასწორობის დაკარგვა და ეს არ არის გასაკვირი, ამას ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით და თუ ასე გაგრძელდება, კიდევ მოსალოდნელია, რომ განმეორდეს, რადგან არ ხდება საკვების სრულფასოვნად მიღება. ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩავუტაროთ სრულფასოვანი მკურნალობა, იმიტომ, რომ პაციენტი შეთავაზებულ სამკურნალო დანიშნულებებზე უარს აცხადებს. ამაზე არაერთხელ განაცხადა ექიმმა, მორიგე ექიმმა და ყველამ, რომ უარს ამბობს სამკურნალო დანიშნულების შესრულებაზე.

ასევე, კვების რაციონი – არაერთხელ გვქონდა საუბარი მასთან, ოჯახის წევრებთანაც, რომ მოტანილი საკვების რაციონი გაფართოებულიყო, მომატებულიყო კალორაჟი, მაგრამ არაფერი იცვლება, კალორაჟის შემცველობის მინიმალური რაოდენობაა დაახლოებით, 400 კილო კალორია, რომელიც ძალიან მცირე და არასაკმარისია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მას აქვს ზოგადი სისუსტე, რა თქმა უნდა, ექნება წონასწორობის დაკარგვის მომენტებიც და ეს მოსალოდნელიც იყო, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.



მისი განმარტებით, პაციენტი იღებს მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობას და ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე არ არის.

– პარამეტრებიდან გამომდინარე, მისი მდგომარეობა მძიმედ არ ითვლება. კვლევები დამოკიდებულია კლინიკურ მიმდინარეობაზე. თუ რაიმე კვლევა იქნება საჭირო და აუცილებელი, იმავე დღესვე კეთდება მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, გეტყვით, რომ გუშინ მოწვეული გვყავდა რეაბილიტოლოგი და დავიწყეთ აუცილებელი პროცედურები, რაზეც პაციენტი დაგვთანხმდა და დაიწყო პროცედურები, რაც აუცილებელია მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის. იმედს ვიტოვებ, არ შეწყდება ეს პროცედურები და პაციენტი დანიშნულების სიას ბოლომდე მიიყვანს, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

„ვივამედის" დირექტორის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილს ახალი მკურნალი ექიმი ჰყავს, მაია ვაწაძე.

– მესამე დღეა, დაენიშნა ახალი ექიმი, რომელიც აგრძელებს მკურნალობის პროცესს. მკურნალი ექიმი არის მაია ვაწაძე. ამ მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სხვადასხვა სახის გართულებები მოსალოდნელია, თუ ისევ გაგრძელდება უარის თქმა სამკურნალო დანიშნულებზე, კალორაჟი შემცირდება, შერჩევით მოხდება საკვების მიღება, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

როგორც მან აღნიშნა, მორიგე ექიმმა მიხეილ სააკაშვილის გონების კარგვასთან დაკავშირებით გააკეთა ობიექტური შეფასება, რის შედეგად ექსპრეზიდენტმა მასთან მკურნალობაზე უარი განაცხადა.

– მორიგე ექიმმა გონების კარგვასთან დაკავშირებით გააკეთა ობიექტური შეფასება. ამ ობიექტური შეფასების შემდეგ, მორიგ ექიმი მიუღებელი აღმოჩნდა პაციენტისთვის, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ პაციენტის ინტერესებს მაქსიმალურად. ჩვენ ვართ ექიმები და ჩვენთვის მთავარი არის გავითვალისწინოთ პაციენტის ინტერესი. შევარჩიეთ სხვა ექიმები, რომლებიც მასთან მუშაობას აგრძელებენ. იმედია, პაციენტი ამ ყველაფერს მეტად გაითავისებს, დანიშნულებას შეასრულებს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, – განაცხადა ჩხაიძემ.

# გიორგი ჩალაძე: „ზურა ჩხაიძისა და „ქართული ოცნების" ნარატივი ერთი და იგივეა, ზურა იტყუება!"



– ზურა ჩხაიძისა და „ქართული ოცნების" ნარატივი ერთი და იგივეა, ზურა იტყუება! – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად შექმნილი შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ჩალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ექიმ ზურაბ ჩხაიძის განცხადებას, რომ მიხეილ სააკაშვილს გონება არ დაუკარგავს.

ჩალაძის თქმით, „ვივამედის" კლინიკის დირექტორი, ზურაბ ჩხაიძე სამარცხვინოდ იქცევა, ხოლო „ქართულ ოცნებას" აღარ დარჩა სხვა სპიკერი, „ასეთი კომიკური ფიგურა, რომელსაც გამოიყვანს და ამ სისულელეებს ილაპარაკებს".

– ვხედავთ მის პოლიტიკურ მომავალს. ზუსტად იმ მესიჯზეა დამჯდარი, რაზეც – „ქართული ოცნების" წარმომადგენლები. სუს-ი მას რით აშანტაჟებს, ამაზე საუბარი არ მსურს. ბატონი ზურას ნათქვამს ჩემთვის ნულის ფასი აქვს, რაც უნდა, ის გააკეთოს, საერთოდ არ მადარდებს. რასაც ზურა ამბობს, იმავეს იმეორებენ კალაძე და სხვა პოლიტიკური აქტორები. მე მოვედი სხვა რამის სათქმელად. ბატონი პრეზიდენტის გონების კარგვის ეპიზოდები უკვე რეგულარული ხასიათისაა. ეს არის ის, რაც დაწერილი იყო სახალხო დამცველის და სხვა ექსპერტების დასკვნებში, რომ ეს ასე მოხდებოდა. სამწუხაროდ, ამან უკვე რეგულარული ხასიათი მიიღო. გუშინ, ასევე ტკივილის მართვის ცენტრიდან მიყვანილი ჰყავდათ ბატონი გადაბაძე, რომელიც ძალიან მაღალი დონის პროფესიონალია და მისი შეფასებითაც, პროცესები არის ღრმად წასული. მას გააჩნია მწვავე ოსტეოქონდროზი, მწვავე ართროზი, ხერხემლის დაზიანება, რომელიც დადასტურებულია, – განაცხადა გიორგი ჩალაძემ.

მისივე თქმით, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი გონებას იმგვარად დაკარგავს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუქცევად სახეს მიიღებს, ის ქვეყნიდან უნდა გავიდეს და ეს მალე უნდა მოხდეს.

– თუკი დაგვიანდა და ქვეყნიდან გარდაცვლილი პრეზიდენტის გაყვანა მოგვიწევს, ამას ძალიან მძიმე შედეგი მოჰყვება. სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ პრეზიდენტის მდგომარეობა უარესდება, არანაირად უმჯობესდება და პოლიტიკური მიზნებიდან ნებისმიერი განცხადება, თუ ხელის შეშლა, „ქართული ოცნების" ახალი წარმომადგენლების მიერ ნულის ფასია და ის პრეზიდენტის მკვლელობას ემსახურება. საჯაროდაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონი ზურა მონაწილეობს საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მკვლელობის საქმეში. მის შთამომავალს დაამახსოვრდება, როგორც პრეზიდენტის მკვლელი ადამიანი, – განაცხადა ჩალაძემ.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის გონების კარგვის შესახებ სჯერა იმ ინფორმაციიდან, რომელიც თავად მიხეილ სააკაშვილმა გამოაქვეყნა.

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გუშინ გონება დაკარგა, „ვივამედის" კლინიკური დირექტორი, ზურაბ ჩხაიძე არ ადასტურებს. როგორც ჩხაიძე აცხადებს, სააკაშვილს გარეგნული დათვალიერებით არც რაიმე სახის დაზიანება ეტყობა.

# შალვა ხაჭაპურიძე: „მიხეილ სააკაშვილს თავზე აქვს დაზიანება, თავი დაარტყა — უმძიმეს მდგომარეობაშია"

– მიხეილ სააკაშვილს თავზე აქვს დაზიანება, თავი დაარტყა, – ამის შესახებ ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის კლინიკაში მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.



ადვოკატი მიმართავს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს, გამოააშკარაოს სააკაშვილის გონების კარგვის კადრები, სადაც ყველა დაინახავს, რა როგორ მოხდა.

– მიხეილ სააკაშვილმა მომიყვა იმ ფაქტის შესახებ, რაც მოხდა. მანახა მაგიდა, რომელზე, ვფიქრობდი, ზუსტად ის მაგიდაა. მაგიდას რკინის კონსტრუქცია აქვს. მანახა ადგილი, სადაც თავი დაარტყა, უმძიმეს მდგომარეობაშია. რაც მთავარია, მას არ უტარდება ის მკურნალობა, რაც მის ჯანმრთელობის მდგომარეობას გააუმჯობესებს. მას უტარდება სიმპტომური მკურნალობა, სასიცოცხლო პარამეტრები რომ შეინარჩუნონ და არ მოკვდეს. რა თქმა უნდა, ამის შესახებ ექიმებმა იციან, მაგრამ ექიმები არიან შეშინებულები და ამ ყველაფერს ხმამაღლა არ აცხადებენ. თუმცა, ბუნებრივია, დადგება დრო, როდესაც ეს ფაქტები, თუ რა ტიპის მკურნალობა როგორ უტარდება, გამოაშკარავდება, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

მისი თქმით, მკურნალობის მხრივ კლინიკა, რასაც ამბობს, ვერ დაეთანხმება.

– ვერ დავეთანხმებით, იმიტომ, რომ ავადმყოფობის ისტორიის ბოლო მონაცემებს თუ შევისწავლით ვნახავთ, რომ ამ ადამიანს არანაირი სერიოზული მკურნალობა არ უტარდება. უტარდება მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა. თვითონ ნებისმიერ მკურნალობაზე თანახმაა, რომელიც მის სიცოცხლეს გააუმჯობესებს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ტიპის მკურნალობა არ უტარდება და ვერც ჩაუტარდება საქართველოში, ვინაიდან სასამართლო პროცესზე არაერთმა უცხოელმა ექსპერტმა დასაბუთებულად დაამტკიცა ის პოზიციები და მდგომარეობა, რაც სააკაშვილს ახლა აქვს. ეს კიდევ უფრო გაძლიერდება, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

# რამდენად რეალურია მესამე მსოფლიო ომის საფრთხე?!



მომავალ კვირაში უკრაინელთა კონტრშეტევა დაიწყება. ამის შესახებ განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა. ამ ცნობამ მთელ მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უკრაინელთა უმრავლესობა მას ალტაცებით შეხვდა, რუსეთში კი პანიკა გაიზარდა.

საინტერესო იყო გერმანიის რეაქცია. თავდაცვის მინისტრმა პისტორიუსმა თქვა, რომ უკრაინას სრული უფლება აქვს, დაბომბოს რუსეთის ტერიტორია. ამან კანცლერი შოლცი დააფეთა.

– ჩვენ ვეხმარებით უკრაინას, მაგრამ უფლებას არ მივცემთ, დაბომბოს რუსეთის ტერიტორია! ამით იზრდება მესამე მსოფლიო ომის საფრთხე! – თქვა მან.

აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსის, გენერალ მილის განცხადება მოზომილი და აწონ-დაწონილი იყო. უწინარეს ყოვლისა, მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელთა კონტრშეტევისადმი ოპტიმისტურადაა განწყობილი. მილის აზრით, უკრაინა რაღაც შედეგს აუცილებლად მიაღწევს. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ ამ წელს ომის დამთავრებისა არ სჯერა.

– ჩემი აზრით, 2023 წელს ვერც რუსეთი და ვერც უკრაინა თავიანთ მიზნებს ვერ მიაღწევენ! საბოლოოდ ყოველივეს მომავალ წელს დაესმება წერტილი! – თქვა მილიმ.

ამერიკელი გენერლის აზრით, დიდია ალბათობა იმისა, რომ უკრაინა გაიმარჯვებს. ეს, სავარაუდოდ, 2024 წელს გაფორმდება. შედეგად, უკრაინა საბოლოოდ მოსწყდება რუსეთს და ევროატლანტიკურ სივრცეს დაუახლოვდება. ის გახდება ევროკავშირის წევრი და გამოიკვეთება უკრაინის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაც. ეს უკვე უახლოეს 2-3 წელიწადში მოხდება.

– ისმის კითხვა: ხომ არ გამოიწვევს ეს მესამე მსოფლიო ომს? ასეთებს მსურს ვუპასუხო: არა! – თქვა მილიმ.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ მესამე მსოფლიო ომი არც რუსეთს სურს, არც აშშ-ს, არც ევროპას. თუ პუტინი გაგიჟდა და წითელ ღილაკზე თითის დაჭერა მოისურვა, ეს მისთვის საბედისწეროდ დამთავრდება.

– ამ შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტს მისივე გარემოცვა მოიშორებს, – თქვა გენერალმა.

რაც შეეხება რუსეთ-ჩინეთის ალიანსს, ამ ეტაპზე მილის ეს არარეალურად მიაჩნია. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება შესაძლოა რეალური იყოს 2030 წელს, მაგრამ არა ახლა. დღეს ჩინეთს სჭირდება ეკონომიკური კავშირები როგორც ევროპასთან, ისე აშშ-სთან. თუმცა უდავოა ისიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომით ჩინეთი გაძლიერდა და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

ამრიგად, მესამე მსოფლიო ომი არარეალურია. ასევე არარეალურია რუსეთ-ჩინეთის ალიანსიც. ამერიკელმა გენერალმა ეს მოკლედ და ლაკონიურად განმარტა.

# ზელენსკი ფინეთის პრეზიდენტს შეხვდა



უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ფინეთში ჩავიდა. აქ ის პრეზიდენტ ნიინისტეს შეხვდა. საუბრის ძირითადი შინაარსი რუსეთ-უკრაინის ომში ფინელების შესაძლო დახმარება იყო.

# დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე

რუსებმა ფრონტზე კვლავ ვერაფერს მიაღწიეს. გაბოროტებულმა ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორია ისევ დაბომბეს. თანახმად უკრაინის გენშტაბის ინფორმაციისა, კიევის მიმართულებით რუსეთმა 20 დრონი გაუშვა, მაგრამ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემამ ყველა ჩამოაგდო.

კიევის გარდა, ოკუპანტებმა ქალაქ დნეპრის მიმართულებითაც გაუშვეს დრონები. 20 დრონიდან 17 ჩამოაგდეს. 3 დრონი მიზანს მოხვდა. შედეგად დაინგრა შენობები, დაიღუპნენ ადამიანები.

უკრაინელებმა დაბომბეს ბრიანსკი. შედეგად მოხდა აფეთქებები რკინიგზაზე. დაიბომბა კურსკის, ვორონეჟის, ბელგოროდის ოლქები. აფეთქდა ნავთობბაზა კრასნოდარის მხარეში. აღსანიშნავია, რომ ეს ნავთობბაზა ყირიმის მახლობლად მდებარეობდა.

# ბახმუტში ბრძოლები გრძელდება



უკრაინულ ქალაქ ბახმუტში ბრძოლები გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უკრაინელებმა შეინარჩუნეს კონტროლი სტრატეგიული მნიშვნელობის გზებზე. თავად ბახმუტში უკრაინული არმია კონტრიერიშზე გადავიდა. შედეგად, რუსები განდევნეს კორსუნსკის ქუჩიდან. რუსული ბანდიტური ფორმირების თავკაცი პრიგოჟინი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან მეოცედ გამოაცხადა, ბახმუტი ავიღეთო.

– სიცრუე რუსებისათვის დამახასიათებელია, მაგრამ პრიგოჟინმა ტყუილებში რეკორდი დაამყარა! – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

დონბასში ისევ ფართომასშტაბიანი ბრძოლებია. ეპიცენტრი კვლავ ავდეევკა და მარინკაა.

რუსი ოკუპანტები ცდილობდნენ, ავდეევკისათვის შემოეარათ, მაგრამ ეს მარცხით დასრულდა. რაც შეეხება მარინკას, აქ ბრძოლები ქალაქის ცენტრში მიმდინარეობს. მარინკა, ფაქტობრივად, ორ ნაწილადაა გაყოფილი, ერთს უკრაინელები აკონტროლებენ, მეორეს – რუსები. უკვე მეათე თვეა, რაც ოკუპანტები წინ წაწევას ცდილობენ, მაგრამ ეს მარცხით მთავრდება.

ბახმუტმა, ავდეევკამ და მარინკამ რუსების დიდი ძალები მიიზიდა. ამით აიხსნება ის, რომ უგლედარზე ოკუპანტების წნეხი შემცირდა. უკვე მეორე კვირაა, რაც უგლედარზე რუსები სახმელეთო შეტევებს აღარ ახორციელებდნენ. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უგლედართან კვლავ გამოჩნდა რუსული საზღვაო ქვეითების დივიზია. მიუხედავად ამისა, რუსები ჯერჯერობით აქტიურ მოქმედებებს არ ახორციელებენ და ძირითადად დაბომბვებით იფარგლებიან. პასუხად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დროებით ოკუპირებულ დონეცკზე და ა.შ. რუსი ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ ვითარება უცვლელია. უკრაინული არმია ხერსონის ოლქში დნეპრის მარცხენა ნაპირზე მაგრდება. უკრაინელებსა და რუსებს შორის მანძილი სულ უფრო მცირდება. ჯერჯერობით აგრესიულ მოქმედებებს ოკუპანტების მხრიდან ადგილი არა აქვს.

ამავე დროს, რუსებმა გაააქტიურეს ისეთი ქალაქების დაბომბვა, როგორებიცაა ხერსონი და ზაპოროჟიე. ხერსონში დაიღუპა 20 ადამიანი. ოკუპანტებმა სუპერმარკეტი დაბომბეს. ამავე დროს, უნდა ითქვას ისიც, რომ უკრაინელები მტერს სულ უფრო სერიოზულ დარტყმებს აყენებენ. შედეგიც სახეზეა: დღეისათვის დაიღუპა 192.550 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რუსეთმა უკრაინა ტერორიზმში დაადანაშაულა

პუტინის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ უკრაინამ კრემლს დაარტყა. ამ განცხადების თანახმად, უკრაინულმა დრონებმა მოსკოვამდე მიაღწიეს. რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემისა და სპეცსამსახურების ერთობლივი მოქმედების შედეგად ამ დრონების გაუვნებელყოფა მოხერხდა.

– უკრაინელთა მიზანი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ლიკვიდაცია იყო, – ამტკიცებს პუტინის პრესსამსახურის უფროსი პესკოვი.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აუცილებლად პასუხს გასცემს მოსკოვის ტერაქტზე.

– ჩვენი რეაგირება უდავოდ ძალზე ხისტი იქნება! ყველა დაინახავს, თუ სად ან როგორ განვახორციელებთ საპასუხო დარტყმას, – თქვა მან.

# უკრაინელები ბრალდებას უარყოფენ



უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველმა პოდოლიაკმა განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობას მოსკოვში არავითარი ტერაქტი არ დაუგეგმავს.

– ესაა ტიპური რუსული დეზა! მიზანი ცხადია: წარმოაჩინონ უკრაინა ტერორისტულ სახელმწიფოდ და მოახდინონ მისი საერთაშორისო დისკრედიტაცია, – თქვა პოდოლიაკმა.

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩევლის აზრით, რუსეთი თავად გეგმავს მასშტაბურ ტერაქტებს უკრაინის ტერიტორიაზე. სპექტაკლი მოსკოვში ვითომდა ნაპოვნი დრონებით კი არის მცდელობა, რომ ეს ტერაქტები გაამართლონ.

# ამერიკელი ექსპერტების მოსაზრება მოსკოვის „ტერაქტზე“

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, „მოსკოვის ტერაქტი“ თავად რუსების მოწყობილია. უკრაინელთა მოსალოდნელი კონტრშეტევის წინ კრემლი ცდილობს, ქვეყანაში მისთვის სასურველი ფონი შექმნას.

– ე.წ. ტერაქტით პუტინი მიისწრაფვის, გამოიწვიოს მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია და მოსალოდნელი საყოველთაო გაწვევა გაამართლოს, – თვლის აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამ მოსაზრებას ეთანხმება სუკის ექსრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეციც. მისი აზრით, სინამდვილეში, ტერაქტი პუტინის ბრძანებით იქნა ორგანიზებული და ეს უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი იყო.

– პუტინის მიზანია, გაამართლოს მოსალოდნელი საყოველთაო მობილიზაცია, წარმოაჩინოს უკრაინა ტერორისტულ სახელმწიფოდ და მიაღწიოს იმას, რომ დასავლეთმა უკრაინას დახმარება შეუწყვიტოს, – მიიჩნევს შვეცი.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# თბილისის კონსერვატორიის იუბილეს კონცერტი მიეძღვნა

ბედნიერი, ცრემლებამდე გულაჩუყებული და წარმოუდგენლად ამაყი. ამის მიზეზი კი დემეტრე გვეტაძეა და ის კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სემინარიაში სწავლობს. დემეტრემ დღეს ჩვენი ორკესტრის თანხლებითა და ჩემი დირიჟორობით მოცარტის ვალტორნის კონცერტი შეასრულა. ის, რომ კარგად დაუკრა, ერთია, მაგრამ ჩემთვის ეს დღე დაუვიწყარი კიდევ იმიტომ არის, რომ მისი დედიკო დიანა მეტრეველი ჩვენი ორკესტრის დასარტყამ საკრავთა ჯგუფის ყველაზე გამორჩეული და ძვირფასი მუსიკოსი იყო, რომელიც ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან საშინელი სენის გამო, რომლის შესახებ უკვე ძალიან გვიან შეიტყო და რომელმაც კვირებში და დღეებში წაგვართვა. დემეტრე და მისი ძმა გიორგი ძალიან პატარები დაობლდნენ და დღეს ორივე ეროვნული ორკესტრის ახალი თაობის გამოკვეთილად ნიჭიერი წევრია. გიორგი დედის პროფილს გაჰყვა და საოცრად კარგად უკრავს სიმფონიურ დასარტყამ საკრავებზე, ჯერ სტუდენტია, მაგრამ ისეთი, რომ ყველამ იცის და ყველას ეიმედება ჩვენს სფეროში, ხოლო დემეტრემ დღეს მის ურთულეს ინსტრუმენტზე ძალიან კარგად აჩვენა თავი და დარბაზიდან ისეთი მხარდაჭერა და ოვაციები დაიმსახურა, იშვიათად რომ მინახავს. ორკესტრის უკლებლივ ყველა მუსიკოსი ისე გულშემატკივრობდა, ასეთი შეგრძნება არასდროს განმიცდია ჩემი ხელმძღვანელობის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში.

ჰოდა, მინდა მივულოცო დემეტრეს დღევანდელი წარმატებული დებიუტი ეროვნულ ორკესტრთან სოლისტის ამპლუაში და თავის ძმასთან ერთად დიდი მიღწევები, წარმატებები და იმქვეყნად მყოფი ჩვენი დიანას სულის მუდმივად გახარება ვუსურვო!

ვულოცავ მათ მამას ავთო გვეტაძეს, ჩვენს უძვირფასეს გიორგი თათულაშვილის საოცარ ოჯახს, რომელშიც იზრდებიან გიორგი და დემეტრე და კოკა ჩადუნელს, რომელიც დემეტრეს მასწავლებელია და, ამავდროულად, ეროვნული ორკესტრის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სპორტი

# შედეგები

**3 მაისი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-ფულემი ... 1:0

სიტი-ვესტ ჰემი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 25 | 4 | 4 | 87-30 | 79 |
| 2.არსენალი | 34 | 24 | 6 | 4 | 81-39 | 78 |
| 3.ნიუკასლი | 33 | 18 | 11 | 4 | 61-27 | 65 |
| 4.მანჩესტერი | 32 | 19 | 6 | 7 | 49-39 | 63 |
| 5.ლივერპული | 34 | 17 | 8 | 9 | 66-42 | 59 |
| 6.ტოტენჰემი | 34 | 16 | 6 | 12 | 63-56 | 54 |
| 7.ასტონ ვილა | 34 | 16 | 6 | 12 | 46-42 | 54 |
| 8.ბრაიტონი | 31 | 15 | 7 | 9 | 61-40 | 52 |
| 9.ბრენტფორდი | 34 | 12 | 14 | 8 | 52-44 | 50 |
| 10.ფულემი | 34 | 13 | 6 | 15 | 45-46 | 45 |
| 11.კრ.პალასი | 34 | 10 | 10 | 14 | 35-45 | 40 |
| 12.ჩელსი | 33 | 10 | 9 | 14 | 31-37 | 39 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 11 | 6 | 17 | 36-64 | 39 |
| 14.ვულვზი | 34 | 10 | 7 | 17 | 29-50 | 37 |
| 15.ვესტ ჰემი | 34 | 9 | 7 | 18 | 37-50 | 34 |
| 16.ლესტერი | 34 | 8 | 6 | 20 | 46-59 | 30 |
| 17.ლიდსი | 34 | 7 | 9 | 18 | 43-67 | 30 |
| 18.ნოტინგემი | 34 | 7 | 9 | 18 | 30-62 | 30 |
| 19.ევერტონი | 34 | 6 | 11 | 17 | 27-52 | 29 |
| 20.საუთჰემპტონი | 34 | 6 | 6 | 22 | 28-60 | 24 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალენსია-ვილიარეალი ... 1:1

ატლეტიკო-კადისი ... 5:1

ხეტაფე-სელტა ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 26 | 4 | 3 | 60-11 | 82 |
| 2.ატლეტიკო | 33 | 21 | 6 | 6 | 60-26 | 69 |
| 1.რეალი | 33 | 21 | 5 | 7 | 69-32 | 68 |
| 4.სოსიედადი | 33 | 18 | 7 | 8 | 43-29 | 61 |
| 5.ვილიარეალი | 33 | 16 | 6 | 11 | 47-34 | 54 |
| 6.ბეტისი | 32 | 14 | 7 | 11 | 39-37 | 49 |
| 7.ბილბაო | 32 | 13 | 8 | 11 | 43-32 | 47 |
| 8.ხირონა | 32 | 12 | 8 | 12 | 50-45 | 44 |
| 9.ოსასუნა | 33 | 12 | 8 | 13 | 29-35 | 44 |
| 10.რაიო | 32 | 11 | 10 | 11 | 38-41 | 43 |
| 11.მალიორკა | 32 | 11 | 8 | 13 | 31-35 | 41 |
| 12.სევილია | 32 | 11 | 8 | 13 | 38-47 | 41 |
| 13.სელტა | 33 | 10 | 9 | 14 | 38-46 | 39 |
| 14.ალმერია | 33 | 10 | 6 | 17 | 42-58 | 36 |
| 15.კადისი | 33 | 8 | 11 | 14 | 26-49 | 35 |
| 16.ვალიადოლიდი | 32 | 10 | 5 | 17 | 29-55 | 35 |
| 17.ვალენსია | 33 | 9 | 7 | 17 | 36-40 | 34 |
| 18.ხეტაფე | 33 | 8 | 10 | 15 | 30-42 | 34 |
| 19.ესპანიოლი | 32 | 7 | 10 | 15 | 38-53 | 31 |
| 20.ელჩე | 33 | 3 | 7 | 23 | 25-64 | 16 |

### იტალია. სერია ა

ატალანტა-სპეცია ... 3:2

სალერნიტანა-ფიორენტინა ... 3:3

სამპდორია-ტორინო ... 0:2

იუვენტუსი-ლეჩე ... 2:1

ვერონა-ინტერი ... 0:6

ლაციო-სასუოლო ... 2:0

მილანი-კრემონეზე ... 1:1

მონცა-რომა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 32 | 25 | 4 | 3 | 68-22 | 79 |
| 2.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 52-24 | 64 |
| 3.იუვენტუსი | 33 | 19 | 6 | 8 | 50-28 | 63 |
| 4.ინტერი | 33 | 19 | 3 | 11 | 60-35 | 60 |
| 5.ატალანტა | 33 | 17 | 7 | 9 | 56-39 | 58 |
| 6.მილანი | 33 | 16 | 10 | 7 | 53-39 | 58 |
| 7.რომა | 33 | 17 | 7 | 9 | 45-31 | 58 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 12 | 10 | 11 | 45-39 | 46 |
| 9.ტორინო | 33 | 12 | 9 | 12 | 35-38 | 45 |
| 10.ბოლონია | 32 | 12 | 9 | 11 | 41-40 | 45 |
| 11.მონცა | 33 | 12 | 9 | 12 | 41-44 | 45 |
| 12.სასუოლო | 33 | 12 | 7 | 14 | 40-49 | 43 |
| 13.უდინეზე | 32 | 10 | 12 | 10 | 42-40 | 42 |
| 14.სალერნიტანა | 33 | 7 | 14 | 12 | 41-54 | 35 |
| 15.ემპოლი | 32 | 7 | 11 | 14 | 26-42 | 32 |
| 16.ლეჩე | 33 | 7 | 10 | 16 | 28-40 | 31 |
| 17.სპეცია | 33 | 5 | 12 | 16 | 28-54 | 27 |
| 18.ვერონა | 33 | 6 | 9 | 18 | 27-51 | 27 |
| 19.კრემონეზე | 33 | 3 | 12 | 18 | 29-59 | 21 |
| 20.სამპდორია | 33 | 3 | 8 | 22 | 20-59 | 17 |

### საფრანგეთი. ლიგა 1

ბრესტი-ნანტი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 24 | 3 | 6 | 76-34 | 75 |
| 2.მარსელი | 33 | 21 | 7 | 5 | 61-32 | 70 |
| 3.ლანსი | 33 | 20 | 9 | 4 | 55-25 | 69 |
| 4.მონაკო | 33 | 18 | 7 | 8 | 66-50 | 61 |
| 5.ლილი | 33 | 17 | 8 | 8 | 60-40 | 59 |
| 6.რენი | 33 | 17 | 5 | 11 | 55-36 | 56 |
| 7.ლიონი | 33 | 15 | 8 | 10 | 52-37 | 53 |
| 8.კლერმონი | 33 | 14 | 7 | 12 | 36-43 | 49 |
| 9.ნიცა | 33 | 12 | 12 | 9 | 40-31 | 48 |
| 10.ლორიანი | 33 | 13 | 9 | 11 | 46-45 | 48 |
| 11.რეიმსი | 33 | 11 | 14 | 8 | 40-35 | 47 |
| 12.მონპელიე | 33 | 13 | 4 | 16 | 52-52 | 43 |
| 13.ტულუზა | 33 | 12 | 5 | 16 | 48-55 | 41 |
| 14.ბრესტი | 33 | 8 | 11 | 14 | 37-48 | 35 |
| 15.ოსერი | 33 | 8 | 9 | 16 | 31-55 | 33 |
| 16.სტრასბური | 33 | 7 | 11 | 15 | 44-55 | 32 |
| 17.ნანტი | 33 | 6 | 14 | 13 | 35-48 | 32 |
| 18.ტრუა | 33 | 4 | 10 | 19 | 41-70 | 22 |
| 19.აიაჩო | 33 | 6 | 4 | 23 | 22-61 | 22 |
| 20.ანჟე | 33 | 3 | 5 | 25 | 27-72 | 14 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ აშვეთია: „სამგურალში ყველა ლიდერია“

ეროვნულ ლიგაში ორი სეზონია, წყალტუბოს სამგურალი ლიდერებთან ახლოს ტრიალებს. გასულ წელს მცირედი დააკლდათ ბრინჯაოს მედლამდე. თუმცა, ამას გუნდი არ გაუტეხია და წელსაც ცდილობს, მედალი მოიპოვოს. სამგურალი 11 ტურის შემდეგ ლიდერთა შორისაა და პირველ ადგილზე მყოფ ბათუმის დინამოს 3 ქულით ჩამორჩება. მიმდინარე ჩემპიონატზე და სამომავლო გეგმებზე სამგურალის სპორტული დირექტორი მიხეილ აშვეთია საუბრობს.

***– გუნდმა ჩემპიონატი ცოტა მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ საკუთარი თამაში იპოვა და ზედიზედ ხუთი მოგების შედეგად ლიდერთა შორისაა. რა შეიცვალა საწყისი ტურების შემდეგ?***

– სეზონის მძიმე დასაწყისი მოსალოდნელიც იყო. გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ შეთამაშების პროცესში იყვნენ. ასეთ ვითარებაში საწყისი ტურები საკმაოდ რთული გამოდის ხოლმე. შემდეგ სწორი მუშაობისა და წარმატებული სელექციის შედეგად გუნდმა მატჩების მოგება დაიწყო, შეიძინა თავდაჯერებულობა და უკვე გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა.

***– სამგურალს ახალგაზრდა მწვრთნელი გიორგი ჭელიძე წვრთნის. თავიდან, როცა გუნდის ხელმძღვანელობამ მასზე გააკეთა აქცენტი, ზოგიერთი სკეპტიკურად უყურებდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ახლა სხვაგვარად უყურებენ. რა არის, როგორც მთავარი მწვრთნელის, გამორჩეული თვისებები?***

– ჭელიძე სამგურალისთვის უცხო არ არის და იმედიც გვქონდა, რომ გუნდს კარგად შეეწყობოდა. გვჯეროდა, რომ ჰქონდა პოტენციალი წარმატებული მუშაობისთვის და მისი დანიშვნა ერთობლივი გადაწყვეტილება გახლდათ. მის პროფესიონალიზმში ეჭვი არ გვეპარებოდა. ამასთან ერთად, ჭელიძე საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელია. თითქმის 10 წელია სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა. აქვს პრო ლიცენზია, გაიარა ყველა ის ეტაპი, რაც კარგ მწვრთნელად ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო. პირველ რიგში არის ლიდერი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მის საქმიანობაში. კარგად უძღვება გუნდს და ასევე სწორი დასკვნების გამოტანისა და პრაქტიკაში განხორციელების შესანიშნავი უნარი აქვს.

გარდა ამისა, ჰყავს შესანიშნავი სტაფი, რომელიც პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. ორივე ასისტენტს, ლევან ხომერიკს და ივანე მახარაძეს პრო ლიცენზია გააჩნიათ და დიდი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს. სამგურალში მუშაობენ: ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფიზმომზადების მწვრთნელი ოთარ საბანაძე, მწვრთნელ-ანალიტიკოსი გიორგი ნერგაძე, რომლისთვისაც ეს პოზიცია ახალია, მაგრამ მალევე აუღო ალღო და დაკისრებულ სამუშაოს თავი კარგად გაართვა. მეკარეების მწვრთნელი ლევან აბაშიძე, დიდი სტაჟისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი... წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრის პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი მუშაობაა. რაც მთავარია, გუნდი არის ერთიანი... ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, ფეხბურთელები და გუნდის თითოეული თანამშრომელი ყველაფერს აკეთებს, რომ გუნდმა წარმატებას მიაღწიოს. ყველას ერთი საფიქრალი და ამოცანა აქვს – გუნდმა კარგად ითამაშოს და დასახულ მიზანს მიაღწიოს.

***– გუნდის შემადგენლობაზეც მინდა გკითხოთ: წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი, სხვა ფაქტორებთან ერთად, გრძელი სათადარიგოთა სკამიც არის. კლუბის ხელმძღვანელობამ, პირადად თქვენ, როგორც სპორტულმა დირექტორმა, დიდი სამუშაო შეასრულეთ, რომ სამგურალი კონკურენტუნარიანი გუნდი ყოფილიყო. ახლა მწვრთნელების განკარგულებაში ფაქტობრივად ორი თანაბარი ძალის შემადგენლობაა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს გუნდისთვის და რას იტყვით გუნდში არსებულ კონკურენციაზე?***

– სამგურალში მთავარ მწვრთნელად ჭელიძის დანიშვნის შემდეგ ძალიან მოკლე დროში შევძელით, გუნდისთვის ის ფეხბურთელები მოგვეძებნა, რომლებიც სამგურალს გამოადგებოდნენ და გუნდი კონკურენტუნარიანი გახდებოდა. როგორც გამოჩნდა, ამ კუთხით საკმაოდ წარმატებული სამუშაო ჩავატარეთ. დიდი სათადარიგოთა სკამი ჯანსაღ კონკურენციასთან ერთად, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გადატვირთული კალენდრის პირობებში მწვრთნელებს როტაციის საშუალება ჰქონდეთ და ფეხბურთელები თითოეულ მატჩს მაქსიმალურად კარგ ფიზიკურ კონდიციებში შეხვდნენ.

***– სამგურალში ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა. საინტერესოა თქვენი აზრი ახალწვეულების შესახებ, ვინ შეეწყო ყველაზე მეტად გუნდს და ვისგან ელოდებით მომატებას?***

– ახალწვეულებს რაც შეეხება, არ მინდა ვინმე გამოვყო. გუნდს ყველა კარგად შეეწყო. პროფესიონალები და მეგობრული ბიჭები არიან, გუნდის წევრებმაც თბილად მიიღეს... წარმატებისთვის ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გუნდში კარგი საფეხბურთო გარემოა და ეს სატურნირო მდგომარეობაზეც აისახება. მომატებას ყველასგან ველოდებით, რადგან ჯერ თავიანთი მაქსიმუმი არცერთს არ გამოუვლენია. დარწმუნებული ვართ, რომ თამაშიდან თამაშამდე ყველა მოუმატებს, არა მარტო ახალწვეულები, არამედ გუნდის სტაჟიანი წევრებიც. ასე რომ, წინ კიდევ არაერთი საინტერესო და ლამაზი მატჩი გველოდება.



***– ჰყავს თუ არა გუნდს გამოკვეთილი ლიდერები?***

– ჩვენს გუნდში ყველა ლიდერია! ზემოთაც აღვნიშნე, რომ მთავარი ლიდერი მთავარი მწვრთნელია, რომელსაც გვერდში უდგანან ფეხბურთელები. არა აქვს მნიშვნელობა ისინი ძირითადში არიან თუ სათადარიგოთა სკამზე, თითოეული ფეხბურთელი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია... ყველა ლიდერები არიან, გუნდი ერთიანია, ერთ გუნდად შეკრული და ის შედეგი, რომელიც დღემდე არის, სწორედ ამ ერთობის დამსახურებაა.

***– სამგურალში საინტერესო მეკარე ნოდარ ყალიჩავა გამოჩნდა, რომელიც ბოლო ხუთ თამაშში ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. მის შესახებ რას იტყვით?***

– რაც შეეხება ყალიჩავას, მართლაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ბიჭმა, რომელიც ერთი წლის წინ მოვიდა ჩვენს გუნდში, შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და ძირითად შემადგენლობაშიც ხვდება. მშრომელი ბიჭია, პროფესიონალი, საკუთარ თავში და შესაძლებლობებში დარწმუნებული. იმედი გვაქვს, უფრო და უფრო მოუმატებს და საქართველოს კიდევ ერთი საინტერესო მეკარე შეემატება. თუ შრომას ასე გააგრძელებს, ალბათ, სანაკრებო დონეზეც საინტერესო ფეხბურთელი იქნება.

***– საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვით, რამდენად საინტერესო ჩემპიონატია და რომელ გუნდებს გამოარჩევდით?***

– სატურნირო მდგომარეობასაც რომ გადავხედოთ, თვალნათლივ ჩანს, რომ ძალიან დაძაბული სტარტი იყო. ზედა ექვსეულის გუნდები სატურნირო ცხრილში მჭიდროდ არიან ერთმანეთთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ სეზონის ბოლომდე დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი იქნება. ეს კი ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ კონკურენციაში და თამაშებში ფეხბურთელი უფრო გაიზრდება და ჩემპიონატის დონეც მაღლა აიწევს.

***– სამგურალის მიერ ჩატარებულ თამაშებზეც ვთქვათ. რომელ თამაშს გამოარჩევდით?***

– ყველა თამაში პრინციპული იყო, მაგრამ, ალბათ, გარდამტეხი გორის დილასთან სტუმრად 3:0 მოგებული შეხვედრა გახლდათ. სამგურალმა მისთვის უხერხულ მეტოქესთან ძალიან კარგად ითამაშა და ამან როგორც სატურნირო მდგომარეობაზე, ასევე გუნდის განწყობასა და თვითრწმენაზე დადებითად იმოქმედა. სწორედ ამის გამო გამოვყოფდი დილასთან მოგებულ შეხვედრას, თორემ, ნებისმიერი მატჩი პრინციპულია და ყველა მოგებული თამაში დასამახსოვრებელი იყო. იმედი გვაქვს, წარმატებულ სერიას გავაგრძელებთ.

***– ალბათ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას კიდევ უნდა ველოდოთ გუნდის გაძლიერებას?***

– მოყოლებული იანვრიდან, როცა ზამთრის სატრანსფერო პერიოდი დასრულდა, ერთი დღეც არ გავჩერებულვართ. აქედანვე ვეძებთ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენს გუნდს გააძლიერებენ. რასაკვირველია, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას იქნება გარკვეული ცვლილებები. ეს მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა, რომელიც გვეტყვის, რა პოზიციაზე გვინდა გაძლიერება და შემდეგ ერთობლივად, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რაც გუნდს წაადგება.

***– სამგურალს წელს წყალტუბოში ჯერ არ უთამაშია, გუნდი საშინაო მატჩებს ზესტაფონში ატარებს. თუ არის ცნობილი, როდის დაუბრუნდება ის მშობლიურ არენას?***

– მინდა, გულშემატკივრებს სასიხარულო ინფორმაცია მივაწოდო, რომ მომდევნო საშინაო მატჩს, რომელიც 10 მაისს თბილისის დინამოსთან გვაქვს, საკუთარ მოედანზე ჩავატარებთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წყალტუბოში ფეხბურთი დაბრუნდება და, იმედი გვაქვს, გულშემატკივრებს კარგი თამაშითა და შედეგით გავახარებთ!

***– რა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა სტადიონზე და თუ იგეგმება განათებისა და ადმინისტრაციული შენობის გაკეთება?***

– სტადიონზე გამოიცვალა მინდვრის საფარი, ასევე მთლიანად გარემონტდა გასახდელები, მსაჯთა და მწვრთნელთა ოთახები, ასევე კლუბის ოფისი. რაც შეეხება განათებასა და ადმინისტრაციული შენობის გაკეთებას, ამ ეტაპზე არ დავკონკრეტდები, მაგრამ ეს სამომავლო გეგმებში ჩასმულია და ეტაპობრივად განხორციელდება.

***– გულშემატკივრებზე რას იტყვით, გუნდის წარმატებული თამაშის ფონზე ელოდებით თუ არა, რომ წყალტუბოში დაბრუნების შემდეგ სტადიონი შეივსება?***

– რასაკვირველია, ველოდებით სავსე ტრიბუნებს... ალბათ, გუნდმა ეს დაიმსახურა იმ შედეგებით, რომელიც დღემდე გვაქვს. იმედია, სამგურალის ერთგული გულშემატკივრები გაავსებენ სტადიონს და უგულშემატკივრებენ ჩვენს გუნდს.

# შერმადინმა მაკფადენთან წააგო, სანაძემ თასის ფინალი დათმო



ესპანეთის ლიგა ენდესას მორიგ მატჩში გიორგი შერმადინის ლენოვო ტენერიფემ თად მაკფადენისა და რატი ანდრონიკაშვილის მურსიას უმასპინძლა და დრამატულ, ოვერტაიმიან მატჩში 109:111 წააგო. აღსანიშნავია, რომ ტენერიფელებს მარცხი მე-4 ადგილის დაკარგვად დაუჯდათ.

გამარჯვებულთა რიგებში ანდრონიკაშვილი ერთადერთი იყო, რომელსაც მოედანზე გასვლის საშუალება არ მისცემია, მაკფადენმა კი, რომელმაც მოედანზე 31:46 წუთი გაატარა, გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა: 21 ქულა, თითოც პასი, ჩაჭრა და დაფარება მიითვალა.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა 3-დან 2 ორქულიანი, 9-დან 4 სამქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო გამოიყენა.

შერმადინმა მოედანზე 31:20 წუთი გაატარა და 8 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 3 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ტენერიფელთა მხრიდან შეუჩერებელი იყო ბრაზილიელი ვეტერანი მარსელინიო უერტასი, რომელმაც 43 ქულა მოაგროვა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

შერმადინის გუნდს 22 მოგება და 9 მარცხი აქვს და ასეთივე მონაგარის მქონე უნიკახამ გადაუსწრო. თავის მხრივ, მურსია 14 მოგებითა და 17 წაგებით მე-9 პოზიციაზეა. 6 მაისს ტენერიფე ხირონას ესტუმრება, ხოლო მურსიელები 7-ში გასვლაზე ბრეოგანთან ითამაშებენ.

დუდა სანაძემ სეზონი შთამბეჭდავი პირადი შედეგით დაასრულა, მაგრამ გუნდზე ამას ვერ ვიტყვით. ფამაგუსტას ანორთოსისი კვიპროსის თავის ფინალში ლარნაკა აეკ-ს შეხვდა და, ქართველი ლეგიონერის შედეგიანი თამაშის მიუხედავად, 72:88 დამარცხდა.

სანაძე ანორთოსისში საუკეთესო იყო. ქართველი უკანახაზელი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30:43 წუთში 25 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა. დუდამ 9-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 12-დან 11 საჯარიმო ჩააგდო.

ანორთოსისისათვის სეზონი დასრულდა. სანაძე თავისუფალი აგენტია და, სანამ ეროვნულ ნაკრებში ჩამოვიდოდეს, შესაძლოა, ახალ კლუბს შეუერთდეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# თბილისმა, შესაძლოა, სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლოს

2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ევროპის ტურნირს, შესაძლოა, თბილისმა უმასპინძლოს.

ამის თაობაზე საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ მსოფლიო ჭიდაობის გაერთიანებას ოფიციალური განაცხადით რამდენიმე თვის წინ მიმართა. სიტუაციის ადგილზე გასაცნობად საქართველოს დედაქალაქს მსოფლიო ჭიდაობის გაერთიანების ევროპის საბჭოს ხელმძღვანელი კარლ-მარტინ დიტმანი ესტუმრა. ვიზიტის მიზანი სალიცენზიო ტურნირის მასპინძლობის მსურველი არენისა და სასტუმროების დათვალიერება იყო.

მსოფლიო ჭიდაობის გაერთიანების წარმომადგენელი, თბილისის გარდა, კიდევ ოთხ კანდიდატ ქალაქს მოინახულებს – რომს, ვარშავას, სკოპიესა და ბაქოს, შემდეგ კი, სპეციალურ კომისიასთან ერთად, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ოლიმპიური თამაშების ევროპის სალიცენზიო ტურნირი 2024 წლის 4-7 აპრილს გაიმართება და პარიზი 2024-ის საგზურებს ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქალთა ჭიდაობაში 6-6 ოლიმპიური წონითი კატეგორიის ფინალისტები მიიღებენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტექსტიდან სიტყვასიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მეწარმე სოფლად; 3. მსხლის ქართული ჯიში; 4. ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების იტალიური ენციკლოპედია; 8. იტალიელი ესტრადის მომღერალი, კინომსახიობი მამაკაცი; 9. სითხის, აირის წნევის გასაზომი ხელსაწყო; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. შოტლანდიური ნაგაზი; 14. ხელოვნური წყლის სადინარი; 16. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 17. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. გერმანელი ფილოსოფოსი.

**თარაზულად:** 5. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 6. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 13. ოქროს მოპოვების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. ულელტეხილი კავკასიონზე; 18. ქართველი მსახიობი მამაკაცი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 20. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 23. ეკოლოგთა, მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაგეტი; 2. სერალი; 3. გენკი; 5. ფოთი; 6. ხარები; 8. იკორთა; 11. ფერეიდანი; 13. ბორჯომი; 14. ყარაუნი; 15. სირტაკი; 19. სურო.

**თარაზულად:** 1. ბუნდესტაგი; 4. ხარფუხი; 7. გოლეული; 9. კონკური; 10. ეფელი; 12. ბარაკონი; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნექტონი; 21. ზილი; 22. გორდონსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შტილი; 2. სტალინი; 3. კელასური; 4. კრწანისი; 8. კალმასობა; 9. ბრილიანტი; 11. ტასმანი; 12. დოლი; 14. ანსა; 16. ზაქათალა; 17. ვარიანტი; 19. ტეხასი; 21. ჰორნი.

**თარაზულად:** 5. სერჟანტი; 6. დაიმლერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ონიქსი; 15. ილუმენი; 18. ჩაროზი; 20. ვატირა; 22. მიხაილოვო; 23. კლემენსი; 24. ანდეზიტი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მაისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4858

ევრო — 2.7488

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1244

100 რუსული რუბლი — 3.1699

**ამინდის პროგნოზი 5 მაისისათვის**




## მესის თამაში მხოლოდ ბარსელონაში სურს



არგენტინელ სუპერვარსკვლავ ლიონელ მესის მხოლოდ ბარსელონაში სურს კარიერის გაგრძელება და მან ამის შესახებ უკვე აცნობა თავის გარემოცვას. როგორც ცნობილია, სეზონის ბოლოს მესი პსჟ-ს დატოვებს და მას ამ გუნდში თამაში აღარ სურს. შესაძლოა, მესიმ კარიერა ინტერ მაიამიში გააგრძელოს, რომელსაც ძალიან უნდა არგენტინელის თავის რიგებში ხილვა, მაგრამ თვითონ ლეოს ევროპაში თამაში სურს.

## სადიო მანეს ბაიერნში დარჩენა არ უნდა



მიუნხენის ბაიერნის სენეგალელ ფორვარდ სადიო მანეს ბაიერნში დარჩენა არ სურს და მისი მიზანია გუნდის დატოვება. ბაიერნი მანეს პოზიციას იზიარებს და ისინი უკვე ეძებენ მის შემცვლელს. მანეს კარიერა ბაიერნში ვერ აეწყო და ბოლო შეხვედრებში ის ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის. გარდა ამისა, მანეს კონფლიქტი მოუვიდა ლეროი სანესთან და მას ფიზიკურადაც შეეხო.

## სიმეონე: „ატლეტიკო ძალიან კარგ ფორმაშია“

მადრიდის ატლეტიკომ ორჯერ ზედიზედ შეძლო 5 გოლის გატანა და 25 წლის განმავლობაში ეს პირველად მოხდა. რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ატლეტიკომ გაიმყარა თავისი პოზიცია სატურნირო ცხრილში და დიეგო სიმეონე კმაყოფილებას არ მალავს: „გუნდი ნამდვილად მშვენიერ ფორმაშია და მიხარია, რომ პროგრესი გვაქვს, თუმცა წელს ტიტულებს ვერ მოვიგებთ. ასე თუ გავაგრძელეთ, მომავალ წელს უკვე ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვეძლება“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## თბილისის კონსერვატორიის იუბილეს კონცერტი მიეძღვნა



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის დაარსებიდან 106 წელი გავიდა. საიუბილეო თარიღი საგანგებო კონცერტით აღინიშნა, რომელშიც ახალგაზრდა ნიჭიერმა მუსიკოსებმა მიიღეს მონაწილეობა.

**ნიკოლოზ რაჭველი:**

– დასრულდა კონსერვატორიის დაარსებიდან 106 წლისადმი მიძღვნილი საღამო და ვარ უსაზღვროდ გახარებული, რადგან მე და ჩვენს ეროვნულ ორკესტრს საშუალება მოგვეცა, მიგველოცა ჩვენი სასწავლებლისა და მისი შესანიშნავი რექტორისთვის დაბადების დღე. თანხლება გავუწიეთ ახალგაზრდა მუსიკოსებს და აგრეთვე შევასრულეთ ჯერ კიდევ სტუდენტის, მაგრამ ძალიან ნიჭიერი, ღრმა და საინტერესო სანდრო წიქორიძის მიერ შექმნილი ნაწარმოები, რომლის პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

მაგრამ კიდევ ერთი მიზეზი არსებობს, რის გამოც ვარ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## იუმორი

ერთი დიდი გამოცდილების მქონე ფსიქიატრი მეორეს ეუბნება:

– დამიჯერე, კოლეგა, არ არსებობენ ჯანმრთელი ადამიანები, არსებობენ გამოუკვლევი ადამიანები!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– როგორც იქნა, სასურველი მამაკაცი ვიპოვე.

– ბევრს გამოიმუშავებს?

– იმაზე მეტს, ვიდრე მე ვფლანგავ.

●●●

ცოლი დივანზე წამოგორებულ ქმარს ეუბნება:

– ადექი, ჩაიცვი და მაღაზიაში ჩაირბინე.

– რა კაცის საქმეა მაღაზიებში წანწალი!

– კარგი, მაშინ საძინებელში შედი და გაიხადე!

– რა, გახუმრებაც აღარ შეიძლება... ფული სად დევს?

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ჩემმა ნაძირალა საყვარელმა მიმატოვა და ქმართან მარტოდმარტო დავრჩი.

– შენ რა გაქვს სანერვიულო, ჩემი მეზობელი ნადია ხომ იცი, ქმარმა და საყვარელმა ერთდროულად მიატოვეს.

●●●

კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

– ვეგეტარიანული რა გაქვთ?

– ქერის ლუდი, ხორბლის არაყი, ყურძნის ღვინო და კონიაკი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მხატვარი უშანგი ხუმარაშვილი გარდაიცვალა





74 წლის ასაკში მხატვარი უშანგი ხუმარაშვილი გარდაიცვალა. თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მიიღო გრან-პრი საუკეთესო ნამუშევრისათვის. მხატვრის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო საიუბილეო გამოფენა, სადაც წარმოდგენილ იქნა მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ნამუშევრები.

უშანგი ხუმარაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამწუხარო ინფორმაცია სამხატვრო აკადემიამ გაავრცელა:

– ცნობილი მხატვარი უშანგი ხუმარაშვილი სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა თელავის დრამატულ თეატრში. მხატვარი 1970-იანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში. მისი პირველი პერსონალური გამოფენა კი სურათების ეროვნულ გალერეაში შედგა. გახლდათ ასევე არაერთი ჯგუფური გამოფენისა და საერთაშორისო ბიენალეს მონაწილე. მხატვრის ნამუშევრები დაცულია გალერეებსა და კერძო კოლექციებში.

## ნათია თოდუა გერმანულ ჯაზფესტივალზე მიიწვიეს



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ნათია თოდუა გერმანიაში ჯაზფესტივალზე მიიწვიეს.

პინებერგის ზაფხულის ჯაზფესტივალი წლებია იმართება და მასში მონაწილეობას მსოფლიოს ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები იღებენ.

წლევანდელი ჯაზფესტივალის სტუმარი, უცხოელ ხელოვანებთან ერთად, ქართველი ნათია თოდუაც იქნება:

– ჩემი ბენდი შარშან ბერლინში შევკარი. წელს უკვე ძალიან კარგ ფორმაში ვართ, ვემზადებით ახალი კონცერტებისა და ფესტივალებისთვის, ვფიქრობ, პროექტი შედგა.

## თემურ ცაგურია ოქროს ქორწილს აღნიშნავს



მომღერალი, კომპოზიტორი და პოეტი თემურ ცაგურია ქორწინების 50 წლის იუბილეს – ოქროს ქორწილს აღნიშნავს. მისი რჩეული ბალერინა ვერა ცაგურიაა. ისინი ერთმანეთს „რეროში“ შეხვდნენ, თემური მღეროდა, ვერა ბალეტის მოცეკვავე იყო:

– ზუსტად 50 წლის წინ, აღდგომაზე – 29 აპრილს დავქორწინდით. გილოცავ, ჩემო ვერა!

## თბილისის კინოფესტივალი სოფო ჭყონიამ შეიფარა



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გუნდი სოფო ჭყონიამ შეიფარა. ინფორმაცია ამის შესახებ კინოფესტივალის დამაარსებელმა გაგა ჩხეიძემ გაავრცელა:

– წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც კულტურის მინისტრის ბრძანებით „ქართული ფილმის განვითარების ფონდმა“ ჩვენი ძველი ოფისიდან გამოგვაგდო. არც დაინტერესებულან, სად გადავედით და რა ბედი ეწია კინოფესტივალის ოფისს უზარმაზარი ბიბლიოთეკითა და ვიდეოთეკით. სხვათა შორის, ის ოთახები აღმაშენებელზე, სადაც 15 წელი გავატარეთ, დღესაც ცარიელია.

მაგრამ, რა კარგია, რომ არსებობენ ისეთი შესანიშნავი ადამიანები, როგორიც სოფო ჭყონიაა. დასრულდა ჩვენი მომთაბარეობა და თბილისის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ და კრეატიულ სივრცეში დავიდეთ ბინა.

## თბილისი მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავებს უმასპინძლებს




9 მაისს თბილისში რიგით 26-ე საერთაშორისო ჯაზფესტივალი გაიხსნება, რომელიც 11 მაისის ჩათვლით მსოფლიო ვარსკვლავებს უმასპინძლებს.

ფესტივალის განმავლობაში ყოველდღიურად გაიმართება სხვადასხვა აქტივობა: ირაკლი ჩიქოვანის პერსონალური გამოფენა „ჯაზის საათი“, კომპანია „აუდიო ლაბის“ ვინილების გამოფენა-გაყიდვა და კახა თოლორდავას რიგით მეორე ფილმის „პირველ პირში – ერთი ფესტივალის ამბავი“ პრემიერა.

ჯაზფესტივალის პირველ დღეს მსმენელის წინაშე ლუკა თოფურიძე და მისი ბენდი წარდგებიან. რაც შეეხება უცხოელ შემსრულებლებს, ფესტივალის სტუმრები „ჯაზ თეიქს სუპერგრუპ“ იქნებიან.

10 მაისს სცენას ჩეხი შემსრულებლები დაიკავებენ. ამავე დღეს მსმენელი გენიოსად აღიარებულ იტალიელ პიანისტსა და კომპოზიტორს სტეფანო ბოლანის მოუსმენს, რომელიც დამსწრე საზოგადოებას საკუთარ ვარიაციებს ცნობილი როკოპერიდან „იესო სუპერვარსკვლავი“ შეუსრულებს.

ფესტივალის ბოლო დღეს, 11 მაისს, იტალიური ბენდი დაუკრავს. საკონცერტო სერიების კულმინაცია კი მსოფლიო ლეგენდის სტენლი კლარკის პერფორმანსი იქნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**5 მაისისათვის**

**ვერძი** – მოვლენების განვითარება ფინანსურ სფეროში ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს. ერიდეთ კონტაქტს ხელმძღვანელ პირებთან. **კურო** – არასაჭირო შეხვედრებზე უარი თქვით. ნუ იაქტიურებთ. **ტყუპები** – საკუთარი პრინციპები დაიცავით. სამსახურში კოლეგებთან უთანხმოება გელით. **კირჩხიბი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი შრომის შედეგი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. **ლომი** – ნებისმიერი საქმე კონსტრუქციულ გადაწყვეტას მოითხოვს. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. **ქალწული** – დღის მეორე ნახევარი საქმიანი დოკუმენტების მოსაწესრიგებლად იდეალურია. მოვლენები თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. **სასწორი** – კოლექტიური საქმიანობა რეკომენდებულია. შედეგი ნაყოფიერი იქნება. დადებითი ემოციები ჭარბობს. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ჩაიტარეთ წყლის პროცედურები. ერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. **მშვილდოსანი** – სიბრძნე და გონიერება დღის დევიზია. ნუ აჩქარდებით და ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. **თხის რქა** – პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. საკუთარი პოზიციები არ დათმოთ. დიპლომატიურობა და შორსმჭვრეტელობა გჭირდებათ. **მერწყული** – უფროსობა თქვენს შრომისმოყვარეობას სათანადოდ დააფასებს. ერიდეთ კამათს კოლეგებთან. **თევზები** – სიმტკიცე გამოიჩინეთ, ნებისყოფა მოიკრიბეთ და დაწყებული საქმე დაამთავრეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართული ტელეკომპანია; 5. უკრაინის პარლამენტი; 6. წყალზე ტივტივა ყვავილოვანი მცენარე; 8. ფიგურული სახაზავი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. იტალიელი მოდელიერი; 14. ძველბერძენი მოქანდაკე; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო შუა საუკუნეებში; 4. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. კინოკომედია „მიმინოს“ რეჟისორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 16. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 17. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

